



იგორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№304 (363) 17-24 თებერვალი 2015

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო

30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ ვებრუდ ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანაჩინება ქართველებმა არ ვიხით ვებრული ვნა – აააკი ვანიძე

ვებრუდის ირავი იროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ

ჟურნალისტ ირაკლი თოდუას ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან დაიბეჭდა 2012 წელს, გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“



– დღეს საზოგადოება ძალიან აღელვებულია ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილებით ბათუმში აზიზის მემფისის შენობის დასრულების გამო. რატომბა ხელისუფლება ასეთი ჯიუტი ამ გადაწყვეტილებაში?

– იმიტომ, რომ ჩვენს ხელისუფლებაზე აჭარაში აღარაფერია დამოკიდებული. თურქები ჩვენს ოფიციალურ დასტურს მხოლოდ ზრდილობის გამო ითხოვენ. დღეს მათ აჭარაში ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ და ვერაფერს შეუძლიან ხელს. საქართველოს ხელმძღვანელობას მშვენივრად ესმოდა, რომ აჭარაზე კონტროლი ნელ-ნელა გადადის თურქების ხელში, მაგრამ ვერ შეეწინააღმდეგა. თურქებს რომ შეეწყვიტათ ობიექტების შენობა აჭარასა და თბილისში, მაშინ რა წარმოედგინათ, როგორც საკუთარი მმართველობის შედეგი: ზუგდიდში შეადრევიან? პლესხანოვზე გადაღებული ფასადები? სად მიყვანათ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები?

ამ მენქეთთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილე გემართება. ჩემთვის ძვირფასი ბათუმელების საპროტესტო განწყობის შესახებ ვიცი, მიხარია, რომ ხალხი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ისტორიულ მემკვიდრეებს ინარჩუნებს, მათ შორის იმ სულთნის შესახებაც, მაგრამ მოეწოდებ, იყვნენ ძალიან ფრთხილად თავის ქმედებებში. თუ თურქებმა მემფისის აშენება გადაწყვიტეს, ისინი მას ააშენებენ, ხოლო, თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი (კერძოდ) არ დაიწყებს. ერდოდანი მოსკოვში ჩაფრინდება, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში გააკეთა, ხოლო მოსკოვს შემაფერხებელი ფაქტორის როლის თამაშის საფუძველი აღარ აქვს.

დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ დავუშვათ ქვეყნის შემდგომი დაშლა, არ მივცეთ ხელისუფლებას ახალი ტერიტორიების დაკარგვის შესაძლებლობა. ამისთვის უახლოესი 5 წლის მანძილზე ბეწვის ხიდზე მოგვიწევს სიარული. თუ შევძლებთ, ვიქნებით ერი საკუთარი სახელმწიფოთი.

მთავარია, დარწმუნდეთ ტერიტორია შევინარჩუნოთ, ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი ადგილი კი მოსახლეობის მუსლიმანურ ნაწილთან ჩვენს ურთიერთობებს ეთმობა. უნდა გავიგოთ, რომ აჭარაში თურქების აქტიურობა, ისლამური ფაქტორის ზრდა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში, ბორჩალოში საზოგადოებრივი პარლამენ-

ტის შექმნა, ბაქოდან საქართველოს მისამართით მკვეთრი განცხადებები – ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვის რგოლებია. ამასთან, გვახსოვდეს, რომ საქართველო ეკონომიკურად მთლიანად თურქეთსა და აზერბაიჯანზეა დამოკიდებული. თუ ადრე ჩვენს უკან რუსეთი იდგა და შეგვედლო, დიდი ყურადღება არ მიგვეცია ისლამური ფაქტორისთვის, დღეს იგი ჩვენი არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა. ჩვენ 200 წლის მანძილზე დაგვაიწვია, მაგრამ თურქეთსა და ირანს მშვენივრად ახსოვთ, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველო მათი ვასალური ტერიტორია იყო.

მუსლიმანურ მოსახლეობასთან ერთად მშვიდად ცხოვრება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქართველთა ნაწილი მუსლიმანები არიან. მეტიც, რამდენადაც პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, ისლამი თავისი სულიერ-ზნეობრივი ღირებულებებით ბევრად უფრო ახლოა მართლმადიდებლობასთან, ვიდრე იგივე პროტესტანტიზმი და მის წიაღში აღმოცენებული კულტურა. მუსლიმანებს, ისევე, როგორც მართლმადიდებლებს, აღაშფოთებს საზოგადოებაში ზნეობის დაცემა, აღვირახსნილობის პროპაგანდა, ნიჰილიზმი, თაობათა გაუცხოება, ეროვნული ტრადიციების უარყოფა. ეს სერიოზული საფუძველია ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობისთვის საერთო სამშობლოს სასიკეთოდ.

– თქვენ თქვით, რომ ხალხის მოტყუებაში დიდი როლი ქართულმა ინტელიგენციამ შეასრულა. მე მახსოვს თქვენი, თუ არ ვცდები, 1997 წელს დაწერილი სტატია «გვეყინება? გვეწყინობს», რომელშიც თქვენ ინტელიგენციას შევარდნადის მხარდაჭერისთვის მამფრად აკრიტიკებდით. როგორ აფასებთ ინტელიგენციის როლს დღეს?

– მე მაშინ არა მთელ ინტელიგენციას, არამედ ე. წ. ელიტურ ინტელიგენციას აკრიტიკებდი. საქმე ისაა, რომ ვეიანსაბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში ინტელიგენციად მიიჩნიეს მხოლოდ ე. წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია – მსახიობები, რეჟისორები, პოეტები, მწერლები, ხანდახან მათ აკადემიკოსებს და პროფესორებს ამბობდნენ. სინამდვილეში კი ინტელიგენციის, როგორც სოციალური ფენის, ძირითად ნაწილს, წარმოადგენდნენ მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ინჟინრები, სამეცნიერო მუშაკები, ანუ ის ხალხი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში საშუალო კლასის როლს ასრულებდა. ეს საშუალო კლასი შევარდნადის ეკონომიკურმა პოლიტიკამ განადგურა, მან საზოგადოებაში სოციალური როლის შესრულება შეწყვიტა. პარალელურად, შევარდნადიმ სტრატეგიულ მიზნად გამოაცხადა საშუალო კლასის ამერიკულ ფიდოცხე – კერძო მესაკუთრების კლასად ფორმირება, მაგრამ არ ესმოდა, რომ საშუალო კლასის ფორმირების ბუნება და პრინციპები შეიძლება განსხვავებული იყოს, მთავარია საშუალო კლასმა თავისი სოციალური ფუნქცია შეასრულოს.

რაც შეეხება ელიტურ ინტელიგენციას, იგი წარმოადგენდა იმ ვიწრო წრეს, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს დიდი ზეგავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, მისი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამ პატივისცემაში შეუქმნა მათ საკუთარი განსაკუთრებული გრძნობა, რწმენა, რომ აქვთ უნარი და ძალეუთ გადაწყვიტონ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ამოცანები, ამ რთულ საკითხებში ხალხს ჭკუა ასწავლონ, მაგრამ ამისთვის აუცილებელი ცოდნა არ აღმოაჩნდათ. მათ არაფერი ესმოდათ მსოფლიო პროცესების, მსოფლიო არენაზე ძალების განლაგების, გეოპოლიტიკის, ეკონომიკის შესახებ. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ საკუთარი

ხალხის მენტალობაშიც არც ისე კარგად ერკვევიან. ცოდნა არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ იყო აპლომბი. შევარდნადიმ ეს მათი თვისება კარგად იცოდა და ოსტატურად მანიპულირება დაიწყო. ისინი, თავის მხრივ, მასში გურუს ხედავდნენ, რომელსაც შეგიძლია ბრძიდ ენდო, ყველაფერში მხარი დაუჭირო, ხოლო როგორ მოიქცეს, მან თვითონ იცის.

ინტელიგენციის სრული მხარდაჭერით, შევარდნადიმ ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართველი ხალხის ცნობიერებას დამანგრეველი დარტყმები მიაყენა: აფხაზეთის ომი, სადამაჯელო ექსპედიციები სამეგრელოში, უმადლესი განათლების სისტემის ნგრევა, აკადემიური მეცნიერების განადგურება, ეროვნული ღირებულებების საზიანოდ დასავლური ღირებულებების პროპაგანდა, საზოგადოებაში ნატო-ში სწრაფი გაწევრიანების შესახებ მითების დანერგვა, საზოგადოების დაყოფა „დასავლელ რეფორმატორებად“, „კომუნისტებად“ და „პროვინციულ ფაშისტებად“ და სხვა მრავალი. შევარდნადის, ძველი ინტელიგენციისა და „ახალგაზრდა რეფორმატორების“ პოლიტიკური სიმბიოზი აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც დაანგრია სახელმწიფო, დაშლა ჩვენი საზოგადოება, ქვეყნის მოსახლეობას ორიენტაცია დაუკარგა.

შევარდნადის დანაშაულში თანამონაწილობით ამ ინტელიგენციამ მოსახლეობის თვალში საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა, დაკარგა ავტორიტეტი, მეტიც, შევარდნადის მიმართ სიძულვილი ხალხმა მათზეც გადაიტანა, ამიტომ «ახალგაზრდა რეფორმატორებმა» ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ისინი მოისროლეს, ზიზღით გამოაცხადეს «ნარეცხილებად». სხვათა შორის, ამ ახალგაზრდა რეფორმატორებსაც შევარდნადიმ იმავე ხერხებით ზრდიდა, რომლებთანაც ინტელიგენციას არჯულვდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მათთვისაც «ბრძენი გურუ» იქნებოდა, რომელსაც ისინი უსიტყვოდ დაუჯერებდნენ, მაგრამ ეს ბიჭები ცოტა ხანში მიხვდნენ, რომ მათ წინაშე «ცარიელი ფუტლაკია», უშუალო კონტაქტზე გავიღწენ მის პარტინებთან – ამერიკელებთან, საქმიანად მოილაპარაკეს და მოხუცი ისტორიის სანაგვეზე გაისტუმრეს.

ინტელიგენციის პასუხისმგებლობა იმ კატასტროფის გამო, რომელიც ქვეყანას დაემართა, ძალიან დიდია. ზოგიერთი მათგანი მიხვდა, რამდენად უზნეო თამაშში გამოიყენეს და საკუთარ დანაშაულს გრძნობს. მათ გულწრფელად უყვართ სამშობლო, საკუთარი ხალხი, ხედავენ, როგორ იღუპება ერი და ინგრევა სახელმწიფო. მე თანაგრძნობით ვკითხულობ მათ სტატეგის, ინტერვიუებს, ვგრძნობ მათ ტკივილს, მათ სულიერ ტანჯვას, მაგრამ ჯერ არ მსმენია, მათგან ვინმეს ელიარების, რომ ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა შევარდნადის პოლიტიკის კანონზომიერი შედეგია, რომელსაც ისინი ოდესღაც ასე მტკიცედ უჭერდნენ მხარს. ცოტა ხნის წინ ცნობილი ქართველი პოეტი აღშფოთებული იყო იმით, რომ ახლა ქართულ გრძელ გვარებს პასპორტში მოკლედ ჩაწერენ, რათა უცხოელებს მათი გამოთქმა არ გაუჭირდეთ. მაგრამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც ეს პოეტი პარლამენტის წევრი იყო, აქტიურად უჭერდა მხარს შევარდნადის გადაწყვეტილებას პასპორტებიდან ეროვნების ამოღების თაობაზე. მისი არგუმენტაცია ბრწყინვალე იყო: „მე ხომ ვიცი, რომ ქართველი ვარ! რად მინდა ამისთვის პასპორტში ჩანაწერი?“. და რად უნდა დღეს სრული გვარი პასპორტში? მან ხომ იცის თავისი გვარი, ეს საქმარისი უნდა იყოს.

იმ სტატიაში, რომელიც თქვენ ახსენეთ, ინტელიგენციას ვუთხარი: პოლიტიკა, რომელსაც თქვენ უჭერთ მხარს, მიგვიყვანს იქამდე, რომ თქვენს წიგნებს მკითხველი აღარ ეყოლება-ოქო. ამის შემდეგ 15 წელიც კი არ გასულა და, სამწუხაროდ, ასეც მოხდა.

– საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის მანძილზე ვერა და ვერ ჩამოყალიბდა მდგრადი პოლიტიკური პარტიები კლასიკური სახით, – თავისი იდეოლოგიით, ღირებულებათა ბაზით, ცვადავი ხელმძღვანელობით. რა არის მიზეზი? რატომ რჩება ჩვენი პოლიტიკური სექტორი ამორფული, უშინაარსო?

– საქმე ისაა, რომ ყველა ჩვენი პარტია ყალიბდებოდა «ზემოდან», ერთი კონკრეტული ლიდერისთვის, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში – თავის ოჯახში, ნათესავებში, თანამშრომლებში, უბნელებში სიმპათიით სარგებლობდა. არავინ დაინტერესებულა, როგორი იდეოლოგია აქვს ასეთ პარტიას – მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტული თუ რაიმე სხვა. პარტიებს შორის განსხვავებას ლიდერების პიროვნება განსაზღვრავდა, პარტიის სახელსაც კი არ ჰქონდა არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა. მოეწონებოდათ სახელი და ისე დაირქმევდნენ, რომ მისი მნიშვნელობა გააზრდებოდათ კი არ ჰქონდათ. ბუნებრივია, ასეთი, ყურით მოთრეული პარტიები მასობრივი ვერ გახდებოდნენ. ასეთ ფონზე წამყვანი ძალა სახელისუფლო პარტია – შევარდნადის მოქალაქეთა კავშირი ხდებოდა, რომლის ნაწილიც შემდგომ «ნაციონალურ მოძრაობად» გარდაიხსნა. სახელისუფლო პარტიასაც არანაირი იდეოლოგია არ გააჩნდა, ჰქონდა ამოცანა – პრეზიდენტის პოლიტიკის მხარდაჭერა. ასეთ პარტიას არანაირი სტრატეგიული პერსპექტივა არ შეიძლება ჰქონდეს. თუ გაისხვებოდა, ევანია აცხადებდა, რომ მოქალაქეთა კავშირი ხელისუფლებაში დიდი ხნით – რამდენიმე ათეული წლით მოვიდა, მაგრამ, როგორც კი შევარდნადიმ გადადგა, მოქალაქეთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. იგივე დაემართება მის ახალგაზრდულ ფრთასაც – «ნაციონალურ მოძრაობას», როგორც კი სააკაშვილი პოლიტიკური არენიდან წავა. ეს ყველა ქართული პოლიტიკური პარტიის წესია – პარტიები იქმნება ლიდერის და არა იდეოლოგიის გარშემო. მიდის დამფუძნებელი ლიდერი და კვდება პარტიაც. ასე, უკვე 20 წელიწადია, გრძელდება და ასე იქნება კიდევ დიდხანს, ალბათ, მანამ, ვიდრე საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის დასავლურ პრინციპზე – მის პარტიებად დაყოფაზე არ ვიტყვი უარს. მოაქციეთ ყურადღება: ყველა წუწუნებს იდეოლოგიის მქონე პარტიების არარსებობის გამო, მაგრამ, როგორც კი ივანიშვილმა განაცხადა თავისი პარტიის შექმნის თაობაზე, ათასობით ადამიანი მივარდა გასაწევრიანებლად, მაგრამ განა ვინმე დაინტერესდა, თუ როგორია ამ პარტიის იდეოლოგია, ქვეყნის განვითარების სტრატეგია, სოციალური პრიორიტეტები? ივანიშვილის გამონქნამ გამოიწვია აღფრთოვანება, რომელიც კლასიკურ ფრაზაში გამოიხატა: „მხოლოდ თქვენ გადაარჩენთ საქართველოს!“. როგორ, რა ხერხებით, როგორი საგარეო პოლიტიკით, ეკონომიკური მოდელით, როგორი სოციალური რეფორმებით, – ამით არავინ დაინტერესებულა. თავის დროზე ასეთივე ეგზალტირებული მოწოდებით მიმართავდნენ შევარდნადიმსაც და სააკაშვილსაც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია

მანუშტი ბაბრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

მდინარის სათავედ ვახუშტი „კავკასს“ მიიხსენებდა. აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთი ტოტი კოდორის ქედია. აღნიშნული ქედი ენგურის, დალიძის, მოქვისა და სხვა მდინარეთა აუზების წყალგამყოფს წარმოადგენს და შედგება ხოჯაღის მთის მასივში ერთმანეთთან დაკავშირებული ორი მონაკვეთისაგან. ერთი მონაკვეთი აფხაზეთის ქედის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი სიგრძე 30 კმ-ია და მიმართულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კავკასიონის მთური წყალგამყოფი ქედიდან ხოჯაღის მთამდე. ამ ქედზეა მოგუაშირის მწვერვალი, ხოლო შუა ნაწილში, მდინარეების – საკენისა და ნენსკრის წყალგამყოფზე – ხიდის უღელტეხილი. ფანავის ქედის სახელით ცნობილი მეორე მონაკვეთის სიგრძე 51 კმ-ია, რაც მიმართულია განედურად, ხოჯაღის მთიდან მდ. კოდორის ქვემო დინებად (მარუაშვილი ქსე, V, 1980: 570).

კოდორი გამოსახულია არქანჯელო დამბერტის 1654 წლის რუკაზე (Coddars Feolim Corax) მოხსენიების თავის ნაშრომშიც (ლაბერტი 2011: 201). მდინარეს ვხვდებით XIII ს. ვენეციურ რუკაზე, ვენეციელი კარტოგრაფების ძმების – პიციგანების მიერ 1367 წელს შედგენილ რუკაზე, სოლერის ხმელთაშუა ზღვის რუკაზე (1385 წ.), პორტუგალიელი კარტოგრაფის დიეგო ომენის 1559 წლის რუკაზე (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში) იაკობ დე მაიოლოს 1563 წლის რუკაზე (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), იტალიელი მიხიონერის – ჟან შარდენის 1672 წლის რუკაზე (სახლგარი აფხაზეთ-სამეგრელოს შორის), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის, რუსეთის უცხო ენათა კოლეჯის პროფესორ რ. კერის მიერ 1732 წელს შედგენილ რუკაზე და ა. შ. (გამახარია, გოგია 1997: 312; ზუხბაია „მახარია“, 10, 2002: 19). კოდორი გამოსახულია ლიხთ-იმერეთის 1737 წელს შედგენილ რუკაზეც (ბურჯანაძე „მოამბე“, I, 1959: 194).

ბ. კვარაცხელია გამოთქვამს ვარაუდს, რომ ანასტასი აპოკრიფის წერილში მოხსენიებული „სოტორი“ და ვახუშტისეული დაბა კოდორი აფხაზეთის იმ სექტორში მდებარეობდა, „სადაც აფხაზეთის მხარე ადგება მდინარე კოდორს, ე. ი. წებელდის აღმოსავლეთით“ (კვარაცხელია 6, 2003: 187). ჩანს, რომ მკვლევარი იზიარებს პავლე ინგოროყვას თვალსაზრისს, მაგრამ არ მიუთითებს ამ უკანასკნელის ნაშრომიდან შესაბამის ვერსიას. პ. ინგოროყვა წერს: დაბა კოდორ... მდებარეობს აბსილეთში, იმ სექტორში, სადაც აბსილეთის მხარე ადგება მდ. კოდორს, ე. ი. წებელდის აღმოსავლეთით“ (ინგოროყვა 1954: 156).

ვახუშტის აღწერის გაანალიზება გვაძლევს შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას:

1. ისტორიკოსი ნაწილობრივ არასწორად გადმოგვცემს მოქვის დინების მიმართულებას. არასწორია მდინარის ზღვასთან შეერთების ადგილის მისვლი ჩვენებაც. მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოქვი იღორთან უერთდება ზღვას. რეალური ვითარება კი სხვაგვარია: სოფ. იღორთან შავ ზღვას შეერთების დალიძეა, ხოლო იღორიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მოქვის ზღვაში შესართავამდე საკმაოდ მანძილია. მოქვის ეკლესიის მდებარეობაც ნაშრომში არასწორად არის მოცემული. იგი მდებარეობს არა მთაში, არამედ – ვაკეზე;

2. XVIII ს-ის I ნახევრის ისტორიული ფონის გათვალისწინებით, მოქვისა და დრანდის ეპარქიები აფხაზეთა მიერ არის აღიარებული, ეპისკოპოსები არ არიან და საეკლესიო წირვა-ლოცვა არც ერთ მათგანში არ აღევლინება;

3. კოდორის დინების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ახლანდელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფ. ამხარამდეა და არა დრანდამდე, როგორც ფიქრობს მეცნიერი ბატონიშვილი. ამხარადან მდინარის დინება სამხრეთ-დასავლეთისკენაა მიმართული და აძიუბას სამხრეთით, კოდორის კონცხთან უერთდება შავ ზღვას;

V. 3. დრანდა. ვახუშტი შეცდომას უშვებს დრანდის ტაძრის ადგილმდებარეობის აღწერისას და მიიჩნევს, რომ გუმბათიანი ეკლესია მდებარეობს კოდორის ნაპირზე, მთაში. თანამედროვე აღმინ-

ტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით დრანდა სოფელია გულრიფშის მუნიციპალიტეტში, გულრიფშიდან 9 კმ-ის დაშორებით, პატარა კოდორის ნაპირას, შავი ზღვისპირა გზატკეცილზე და არა მთაში. ვახუშტის მიერ მოხსენიებულ მდ. კოდორს სოფელი 10 კმ-ითაა დაშორებული. დრანდა სამურზაყანოს დაბლობზეა, ხ. დ. 40 მ-ზე. იგი სოფელი და თემის ცენტრია.

კასტელის ცნობით აფხაზეთში, კავკასიის მთებში მდებარეობს დრანდას საეპისკოპოსო (კასტელი 1976: 180). ჟან შარდენის 1672 წლის რუკის ფრაგმენტზე აღნიშნულია „დრანდის ციხე-სიმაგრე და ბაზარი“.

ისტორიული ოდიშის ქრისტიანულ საეკლესიო ნაგებობათა შორის თვალწარმოც პლატოზე აგებული დრანდის ტაძარი ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით მიჩნეულია ბიზანტიური არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშად. VII-VIII სს. აფხაზეთის სამეფოში შექმნილი ისტორიული ფონის გათვალისწინებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ტაძარი VIII ს-ში უნდა აშენებულიყო. გვერდის ჯვრის ტიპს მიახლოებული გუმბათოვანი საკათედრო ტაძარი აგურითაა და რიყის ქვითაა ნაშენი. წრის ფორმის ჯვრის შუა არეზე ცილინდრული კედლები სვეტებითაა რაზეც აფრიალი თაღებია დაურღობილი. ტაძრის გუმბათი 16-წახნაგოვანია. აღმოსავლეთით სამწახნაგოვანი შევიერი აფხაზი აქვს. ჯვრის მკლავებს სამივე მხრიდან სწორკუთხედის ფორმა აქვს. კუთხის სათავსებში შესვლა შესაძლებელია სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავიდან (ჩუბინაშვილი 1948: 67; ბერულავა 1951: 74; ქსე III, 1978: 634).

ტაძარი არაერთგზის გაუძარცვავთ და დაურბევიათ თურქებს (კვარაცხელია 6, 2003: 180-182). დრანდის სავარაუდოებს XX ს. დასაწყისამდე ფლობდნენ აფხაზ თავადთა – ძიპაშვილების საგვარეულო, ხოლო შემდეგ – შარვაშიძის (იქვე: 181). XIX ს 10-20-იან წლებში დრანდის მფლობელი ყოფილა ალი-ბეი შერვაშიძე, რომელიც, წებელ-დალ-ფსხუელთა მხრიდან პერმანენტული თავდასხმებით შეწუხებული, სოფ. ტამიშში გადასახლებულია (იქვე: 182).

კოდორ-ანაკოფიის უზამდინარეთი

მდინარე ცხომი. ცხომი/ცხუმი/სოხუმი. კოდორის ხეობის აღწერას ნაშრომში მოსდევს ოდიშის უკიდურესი დასავლეთი ნაწილის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება: „ხოლო ამ კოდორის დასავლეთითა დის მდინარე ცხომისა, გამოდინარე კავკასიისა, და მოერთვის ზღვას ჩდილოდამ. ამ წყალზედ, მთაში, არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამისგან. იყო ცხომი ქალაქ და საერისთო, და აწ დაბა. ამ ცხომის დასავლეთით არს ანაკოფია...“ (ვახუშტი IV, 1973: 781).

საინტერესოა სახელწოდების ვახუშტისეული ფორმა იმ მდინარისა, რაც „კოდორის დასავლეთად დის“. ესაა ცხომი, რასაც სახელი დარქმევა მის ნაპირზე, მთაში მდებარე და „ცხომად“ სახელდებული დასახლებული პუნქტისაგან. სხვა ქართულ და არაქართულ წერილობით წყაროებში ვახუშტის მიერ მოხსენიებული „ცხომის“ ვარიანტებად გვხვდება „ცხუმი“ და „სუხუმი“/„სოხუმი“.

ცხუმს მოიხსენიებს მემბტიანე ჯუანშერი, დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მურვან ერუს ლაშქრობასთან დაკავშირებით: „ვითარცა შეველო ერუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფხილეისა ცხუმი“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 235), ხოლო მას შემდეგ, რაც მის ლაშქარს თავს დაატყდა წყალდიდობა, მემბტიანის თქმით, „...ადიძრა და დაიბანაკა პიტოტას, ზღვის პირს, ქალაქსა, რომელსა ჰქვან ცხუმი“ (იქვე: 238).

ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ აფხაზეთა ქვეყანაში შესული ანდრია მოციქული და სიმონი „სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდება ცხუმი. და უქადაგეს სიტყუა ღვთისა“ (იქვე: 42). მაშასადამე, მემბტიანე იცის, რომ ცხუმის უწინდელი სახელწოდება „სევასტე“, იგივე სებასტოპოლისს ყოფილა. XIV ს-ის უამთაღმწერლის ცნობით მეფე დას-გიორგი (1213-1223 წწ.) „გარდავიდის ქუეითი აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს“ („ქ. ცხ.“ II, 1959: 159).

ცხუმი/სოხუმი გამოსახულია შუა საუკუნეების არაერთ უცხოურ და ქართულ რუკაზე. ფერდუნი 1479, ბენინკაზის 1480 წლის იტალიურ და 1559 წელს პორტუგალიელი კარტოგრაფის – დიეგო ომენის მიერ შედგენილ რუკებზე (ეს უკანასკნელი დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), კელასურის შავ ზღვასთან შესართავთან, გამოსახულია Porto Mengrello (მეგრულთა ნავსადგური), რაც უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ ცხუმი, სოხუმი უწინ სამეგრელოს შემადგენლობაში იყო (Черноморье II, 1980: 247; გოგოლაძე 1997: 79; ზუხბაია „მახარია“, №5, 2000: 10). იაკობ დე მაიოლოს 1563 წლის რუკაზე აღნიშნულია პორტო მინგრელო, სევასტოპოლი. გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი რ. კერი 1732 წელს შედგენილ რუკაზე მიუთითებს ცხომს (სოხუმს). რუკის მიხედვით ოდიშის დასავლეთი საზღვარი ნაკოფსიამდეა (დღევანდელი ახალი ათონი). ამასთანავე, სოხუმი სამეგრელოს შემადგენლობაშია (ზუხბაია „მახარია“, №10, 2002: 19).

ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკაზე გამოსახულია სოხუმის ციხის ზღვები, და იქვეა შემდეგი წარწერა: „ქართულად აუუ ქვიან. ორთულიანი ფაშა ზის. 1723 – ამ ქორონი(ტონის) ააშენეს თათარი. სამოცი თოფი ძეს დიდი. ასი კაცი“ (მათურელი IX, 1949: 215; ბურჯანაძე I, 1959: 195).

ვახუშტის ცნობიდან ჩანს, რომ ცხუმის საერისთავოს ცენტრი დღევანდელ სოხუმში კი არ არის, არამედ იმ მდინარის მარცხენა ნაპირას, რაც ზღვიდან მოშორებით მოედინება (ბერაძე სიგე, IV, 1971: 65). ისტორიკოსის ცნობა, რომელიც პუნქტს ცხომის სახელწოდებით მდ. ცხომის ნაპირზე მიუთითებს, მკვლევართა აზრით, სინამდვილეს შეესაბამება. ცხუმის საერისთავოს ცენტრს ზღვიდან დაშორებით, ბესლეთის მარცხენა ნაპირზე მდებარე „ბაგრატის ციხის“ ნანგრევები წარმოადგენდა. მაშასადამე, ვახუშტი ცხომს უწოდებდა დღევანდელ მდ. ბესლეთს (ბერაძე სიგე, IV, 1971: 65, და იქვე დასახელებული ლიტ-რა).

ბესლეთი კარსტული მდინარეა ახლანდელ სოხუმის რაიონში. მდინარის სათავეს ოდიშისა და ურავის კარსტული წყაროები წარმოადგენს. სიგრძე 15 კმ-ია, აუზის ფართობი – 81,5 კმ². 4 კმ-ის სიგრძეზე მიწისქვეშა გვირაბში მოედინება, რითაც დაკავშირებულია მდ. კელასურთან. ბესლეთი სოხუმის ტერიტორიაზე შეერთვის შავ ზღვას. მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. ბესლეთი/წითელი ბესლეთი. მკვლევარი კ. ბერულავა ამ მდინარეს „ბასლათის“ ფორმით მოიხსენიებს (ბერულავა 1951: 20, 21-22).

კ. ბერულავას თქმით ვახუშტისეული მდინარე ცხომს ახლა გუმისთა პქია. ძველი ცხუმი მდებარეობდა შუქურიდან ჩრდილო-დასავლეთით, 2-3 კმ-ის დაშორებით და ეკავა გაღვანიტ შემოზღუდული 100-130 მ² ფართობი. ზღვის მხარეს გაღვანის ნაშთი აქა-იქ მოჩანს, დანარჩენ სამ მხარეს კი ჯერ კიდევ დგას. ქალაქის შუაგულში ძველად ციხე-დარბაზი უნდა მდებარეობდა, მაგრამ ახლა აღარ შეინიშნება. ძველ დროში ქალაქის გვერდით ჩამდინარე გუმისთა ამჟამად ამ ადგილს დაშორებულია. ქ. სოხუმში ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ცხადყოფს, რომ ძველი ცხუმი აღწევდა სამარტოს (ახლანდ. სოხუმის) მთამდე და, შესაძლებელია, ბაგრატის ციხემდეც (ბერულავა 1951: 12-13).

1578 წლიდან ცხუმის ადგილი ზღვისპირა სიმაგრე თურქ მეციხოვნეთა ხელშია. ვახუშტის ცნობით, „იყო ცხომი ქალაქი, მაგრამ მოგვიანებით დაქვეითებულა და უბრალო დაბად გადაქცეულა (ბერულავა იქვე: 14). თურქებს ამ პუნქტისათვის სუხუმ-კალე შეურქმევიათ (კალე, კალა, ყალა – თურქ. „ციხე“).

ტოპონიმი „სოხუმი“ ვახუშტი ბატონიშვილამდე ბეგრად აღერ გვხვდება წერილობით წყაროებში და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მასაც უნდა სცოდნოდა, მაგრამ იგი მაინც არჩევს, რომ ქალაქის ძველი სახელწოდება ცხომი (ცხუმი) გამოიყენოს. ცხუმის ლოკალიზაციის შესახებ ვახუშტის ცნობებს თავის დროს ეყრდნობა მიაქცია ს. ჯანაშიამ და შენიშნა, რომ დიდ ისტორიკოსს მთლად ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა ამ ტერიტორიაზე.

ამიტომ ვახუშტი დღევანდელ სოხუმს ანაკოფიად მიიხსენებდა და მას სოხუმის აღმოსავლეთით, მთაში უჩვენებდა. მაშასადამე, დაასკვნის ს. ჯანაშია, ვახუშტის მიხედვით, ცხუმი დღევანდელი სოხუმის აღმოსავლეთით მდებარეობდა. სამწუხაროდ, ვახუშტის მიერ შედგენილი რუკა არაფერს გვეუბნება ცხუმის ლოკალიზაციისათვის ღრებულს (ჯანაშია VI, 1988: 286-287).

ს. ჯანაშიას ცხომის ლოკალიზაციის შესახებ არაერთი ფაქტობრივი წერილობითი მონაცემის მოხმობა და შეფასება გაანალიზება იმისთვის სჭირდება, რომ შემდეგი დასკვნა გამოიტანოს: „ვფიქრობთ, უეჭველია, რომ XVIII საუკუნეში საქართველოში ცხომს ასხვავებდნენ სოხომის, ანუ აყუ-საგან, ეს უკანასკნელი ადგილმდებარეობით უკავშირდებოდა დღევანდელ სოხუმს, აფხაზეთად აყუ-ს“ (იქვე: 289-290).

ნ. დადიანის წარმოდგენითაც აყუ იგივე სოხუმი, ხოლო ქალაქ ცხომში იყო შარვაშიძეების სასახლე. უეჭველია, რომ აქ იგულისხმება დღევანდელი კელასური, ან უკეთ, მისი შემოგარენი, სადაც იყო ნავების სადგომი, პატარა ბაზარი და მოგვიანებით – საბაჟო. „ქართველთ ცხოვრებიდან“ ირკვევა, რომ ნ. დადიანის მეთაურობით სამეგრელოს ჯარს ასლან-ბეგ შარვაშიძის წინააღმდეგ ლაშქრობისას შემდეგი მარშრუტი გაუვლია: დალიძე – მოქვი – წყაბა (აღბათ წყაბა? (დრანდა)) – აშიღვარა – მაჭარა – ადგილი „ცხენთა შეტევა ბისა“ – თუბუნი (იგივე ცხომი) – აყუ-ს-ციხე (დადიანი 1962: 210). მაშასადამე, ცხომი მდებარეობდა მაჭარასა და სოხუმს, ანუ აყუს ციხეს შორის (ჯანაშია VI, 1988: 291).

V. 4. 2. ანაკოფია. ვახუშტის ცნობებს ანაკოფიის შესახებ შემდეგია: „...ცხომის დასავლეთით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამოდინარე კავკასიისა და მომრთველი ზღუასა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლეთით და ზღვის კიდევად არს ქალაქი ანაკოფია. ეს აღაშენეს ბერძენთა. აქვე ერეკლეთი კეისარმან დასუა ერისთავი აფხაზეთა, ეგრისის მდინარის დასავლეთისა ზღუამდე. იყო ქალაქი კეთილი, შუენიერი, ზღუასა ზედა წაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღუასა შინა სუეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან. არამედ აწ ოქერ არს; და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა; ამ ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღვიდამ მთამდე შეაგლო ზღუდე დიდი ღვეან დადიანმან, აფხაზეთა გამოუსწველობისათვის, გარნა აწ უქმად არს“ (ვახუშტი IV, 1973: 781-782).

ვახუშტის ცნობებს თითქმის უცვლელად იმეორებს „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი ნიკო დადიანი (დადიანი 1962: 151). ვახუშტისეული ანაკოფია ახლანდელი ახალი ათონია (ყოფილი ფსირცხა). იგი მდებარეობს გუდაუთის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთსა და კოლხეთის დაბლობზე. შავი ზღვისპირა კლიმატური კურორტი ხ. დ. 50 მ-ზეა და გუდაუთას 7 კმ-ითაა დაშორებული. ანაკოფია მოიხსენიება არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროკოპი კესარიელის მიერ მოხსენიებული ტრაქტის ციხე-სიმაგრე, რაც ზღვისპირას, მთაზე, „აფხილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში“ მდებარეობდა, მერმინდელი ანაკოფია უნდა იყოს (Анчабадзе 1959: 9-11; მუსხელიშვილი I, 1977: 119). არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც „ტრაქტის“ ლოკალიზაციის შესახებ. მაგალითად, ს. ჯანაშია, მ. ლორთქიფანიძე და ვ. ლექვიანიძე მიიჩნევენ, რომ „ტრაქტა“ გაგრასთან მდებარეობდა. ნ. ბერძენიშვილი იმ აზრისაა, რომ „პროკოფის ტრაქტა და მისი მონათხრობი ეპიზოდი გულისხმობს ანაკოფია-ფსირცხას, სადაც აფხაზეთი მართლაც იწყებოდა“ (ბერძენიშვილი III, 1966: 300). მოგვიანებით დიდი მეცნიერი კვლავ შეეხო ადგილ „ტრაქტას“ ლოკალიზაციის საკითხს და აღნიშნა: „სრულიად უდავოა, რომ აბაზგიის აღმოსავლეთი საზღვარი VI საუკუნეში ანაკოფიის ზღვისპირი და ციხეა“ (ბერძენიშვილი VIII, 1975: 503).

ილორო კვლევა, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ილორი

გაზეთი "ილორის"

ამას წინათ ჩემს პირად ელექტრონულ ფოსტაზე არც კი ვიცი ვისგან, შემომივიდა პოეტ გიგა ქავთარაძის მეგრულენოვანი ლექსები, რომლის დაბეჭდვაც საშურს საქმედ მივიჩინე. ავტორისაგან ნებართვის მიღებას ვერ მოვახერხებდი, რადგან მისი კოორდინატები არ გამიანდა, მაგრამ ვინაიდან ლექსები გამომიგზავნა, არც თუ უსაფუძვლოდ მივიჩინე, რომ გამოქვეყნების თაობაზე ავტორი თავისთავად იქნებოდა საქმის კურსში. თვეების განმავლობაში გამოვაქვეყნე კიდევ გიგა ქავთარაძის რამდენიმე ლექსი, რაც არავის გაუპროტესტებია.

რამდენიმე დღის წინ კი ბატონმა გიგა ქავთარაძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე შემდეგი შინაარსის შენიშვნა გამოაქვეყნა:

"ჩემს ლექსებს რომ ბეჭდავთ, ავტორს რატომ არაფერს ეკითხებით?! საქმე იმაში არაა, რომ აქ ჩემი საავტორო უფლება ირღვევა, ან რამე განსაკუთრებულია ჩემი ლექსები და თავს ვიფასებ. უბრალოდ, არ მაქვს სურვილი, ჩემი ლექსები იბეჭდებოდეს პოლიტიკური შინაარსის მქონე გაზეთში! გთხოვთ, შეწყვიტოთ დაუკითხავად ჩემი ლექსების ბეჭდვა!

*პატივისცემით
გიგა ქავთარაძე."*

ამ ტექსტში მიუღებელი და აღმაშ-

ბანცხალეა ერთი

ფოთებელი არაფერია, რადგან ავტორს სრული უფლება გააჩნია მოითხოვოს წინასწარ შეთანხმება მისი ნაწარმოების ბეჭდვაზე. ამდენად, რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ გიგა ქავთარაძეს ამ ფრიად არასასურველი გაუგებრობის გამო, მაგრამ არ შეგვიძლია გულისწყრომა არ გამოვიტყვათ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ბატონ გიგა ქავთარაძის აღნიშნულ პოსტს გამოემხმურნენ და გაზეთ "ილორს" ლამის ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში დასდეს ბრალი. კერძოდ, აშკარა ნაცლანაქურ სტილში დაგვაბრალეს კრემლის ავენტობა, ანტიქართული სულისკვეთება, დასავლური პოზიციის უაღრესი ღირებულებების უზუღვეულოდ დატოვება, ბომბიანი ლონდონამდე გვირახის გაყვანა და სხვა უამრავი სისულელე. ამგვარ ვაკანალიაში თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს ვიღაც ადამიანი გიგა ქარაჩავამ, მაკა გუგუნიამ და სამეგრელოში მოკალათებულმა სხვა "ლიბერალისტებმა".

რაც შეეხება კრემლისადმი ჩვენს დამოკიდებულებას, კიდევ ერთხელ ავუხსნით არსაკიდებულ ლიბერალისტებსა და მუქია ლუქმას გამოკიდებულ სხვა ჯურის რევგენებს, რომ ჩვენ დღესაც მტკიცედ ვადგავართ საკითხის მშვიდობიანი გზებით მოგვარების პოზიციას, მტკიცედ ვაჭამს, რომ აუცილებელია რუსეთთან დიალოგი, პრობ-

არასასიამოვნო გაუბებრობის გამო

ლემების მოლაპარაკების მაგიდასთან გადაწყვეტა და არა საქმისადმი დორბლიანი სააკაშვილისეული მიდგომა, რაც განმეორებითი ომით, ახალი მსხვერპლითა და დამატებითი ტერიტორიების დაკარგვის ფასად დაგვიჯდა. თუ ამ პოზიციის გამო ჩვენ მავანნი რუსეთის აგენტად მიგვიჩნევენ, გამოდის, რომ სააკაშვილის, მისი დაშნაკური ნაც-მოძრაობის, ანგაჟირებული დაქირავებულებისა და რამდენიმე რევგენის გარდა დანარჩენი საქართველო რუსეთის აგენტი ყოფილა.

სასაცილოა, სატირალი და თავშისაცემი რომ არ იყოს!

რ. ჯალაღანიძე

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელის ბატონ ზურაბ კვარაცხელიას ბანცხალეა

მ. სააკაშვილის ე.წ. ნაცმოძრაობისა და ლიბერალური ხროვის მესვეურთა უშუალო მითითებით ამ უკანასკნელ პერიოდში არის აშკარა მცდელობა ინტერნეტსივრცეში უფრო ენერგიულად გააჩაღონ ფართო ანტიპროპაგანდისტული საქმიანობა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ დამარსებლისა და თავმჯდომარის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, აგრეთვე, სახალხო მოძრა-

ბა „სამეგრელოს“ და გაზეთ „ილორის“ მისამართით... სამეგრელოს, რომ ამ სამარცხვინო ისტერიის მონაწილეა შორის უკანასკნელ საათებში აქტიურობენ ადამიანები, რომელთა შორის ზოგიერთთან მეწარმეობაში მქონდა საკმაოდ თბილი და კეთილი ურთიერთობა, ამავე დროს ზოგიერთთან დღემდე ვცდილობდი ასეთივე ურთიერთობის შენარჩუნებას...

ახლა კი, რა მინდა განვაცხადო, უფრო სწორედ, მინდა მივმართო ინტერნეტსივრცეში **გიგა ქარაჩავა**-დ დარეგისტრირებულ, ინგოვანი წარმოშობის დეგრადირებულ, წამსდარი მორალის და მსოფლმხედველობის ლიბერალტ გოგა ქარაჩავას: შენ არც მეგრელი ხარ და, ზოგადეროვნული თვალსაზრისით, არც ქართველი! შენ თბილისის აეროპორტში ნაცხროვის პარპაშის პერიოდში უფშვიტინე მიშას სალაფავის ნარჩენებისაგან გასუქებული ვირთხა ხარ! გაფუჭებული არაკაცი ხარ შენ! მამანტი ძამიას და ალექსანდრე ჭაჭიას მისამართით უნამუსო ინსინუაციების გამო ერთხელ უკვე გაგაცი საკადრისი პასუხი, მაგრამ ვერ მოისვენე მანძი და ისევ აღრუტუნდი ტალახში მოგორავე გალინინური ბურვაკით! გაფრთხილეთ ჭკუას მოუხმე, აზრზე მოდი და გაიარე!!! ნუ გვინდა, რომ შენი უხნეო გამოსდომები უპასუხოდ დარჩება და ჭაფურიასავით შეგერგება!!!

ზურაბ კვარაცხელია

ქართველო, გვიყვარ იღაიით ბეროკოზის წინააღმდეგ!!!

„თუ გსურს ერთი, ან ადამიანი გახსრწა ან გადაავარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდევ იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნაათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროევი და მოღალატენი კი გმირებად“.

ზვიად გამსახურდია

თავისუფალი საქართველოს მემკვიდრეები

დღეს, ტერორიზმი მსოფლიოში ნომერ პირველი პრობლემაა. ა.წ. 22 იანვარს, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში იური ვახაგაშვილის მკვლელობა განხორციელდა, იგი, თავისი მოკლულ შვილის ზურა ვახაგაშვილის საფლავზე იქნა აფუჭებული. ეს იყო კლასიკური ტიპის ტერორისტული აქტი, რომელიც ნებისმიერ მაფიოზურ-ტერორისტულ დაჯგუფებას შეშურდებოდა. ის მეთოდი და საშუალება, როგორც ეს ტერაქტი განხორციელდა მეტად ამაზრზენია. სამართლიანობისათვის მებრძოლი პიროვნების იური ვახაგაშვილის მკვლელობა ამაზრზენი და უპრეცედენტოა, ბოროტმოქმედთა მიერ ანგარიშსწორების ასეთი ფორმა ანტიკავკასიური, ანტიქართული და ცინიკურია.

ჩვენს დრმა რწმენით, ეს გახლდათ სპეცსამსახურების აშკარა ხელწერა, რომელიც არა მარტო პიროვნებების მიმართ არის მიმართული, არამედ იგი ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ აქტთა შორის ერთერთი ყველაზე ვანდალურია. ასეთი ტიპის ტერაქტი, მიუხედავად ტერორისტული რეჟიმების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში არ მომხდარა საქართველოში. აქვე არ შეიძლება ქართულ ერს არ შევახსენოთ საქართველოში ტერორიზმის უახლესი ისტორიის საფუძვლები, რამაც სათავე დაუდო ამგვარ დანაშაულთა დაუსჯელობას ჩვენს ქვეყანაში. ამის მიზეზი ცალსახად ერთადერთია: ახალგაზრდა დამოუკიდებელი ერთიანი სახელმწიფოს კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობა 1992-93 წწ-ში.

ეს ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ქვეყნის მახორბელმა შევარდნაძემ შექმნა ისტორიაში ჯერ არნახული პირველი კრიმინალური ორგანიზაცია მხედრონის სახით, და რა თქმა უნდა არა მარტო მხედრონი, (ორგანიზაცია „თბილისელი“, „უკუღმინარიელი“, „ავაზა“ და სხვანი მრავალნი), რომლებსაც აფხაზეთის ე.წ. ომში შევარდნაძემ იმისათვის მიაღებინა მონაწილეობა, რომ აფხაზეთის მოსახლეობა ემარცხათ და შემდეგ ქართულ მოსახლეობა აეყარათ და მის წინააღმდეგ მიმართული პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდამჭერთა მრავალათასიანი მიტინგები აღეკვეთათ სოხუმში. „მხედრონელები“ დღეს ასევე ისე „ობრძვიან“ უკრაინაში, როგორც ისინი „მამულის საკეთილდღეოდ იბრძოდნენ“ აფხაზეთში. დღეს კი, ჩვენს სამარცხვინოდ, არალეგიტიმური, საოკუპაციო ადმინისტრაციის ე.წ. საინფორმაციო საშუალებების ტელეშოუების წამყვანებს, მათი გმირებად ქვეყანა აქვთ მიხნად დასახული. ამ არალეგიტიმური, საოკუპაციო ადმინისტრაციის საინფორმაციო საშუალებებს მომავალი თაობის ტერორისტ მხედრონელები იდეალებზე ცრუ პატივით იმსახურებენ და კისრებულნი და როდენ საკვალალო, როდესაც მათ აღზუვებას ხელი შეუწყო საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურმა ხელმძღვანელებმა და **სმპ**-ის მიერ აღზუვებულმა მაფიოზურმა წითელმა ინტელიგენციამ, რომელთაც ლომის წილი მიუძღვით საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობაში და რომლებიც დღესაც განაგრძობენ ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს.

აღნიშნულმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა არაერთი უმძიმესი გამოუსწორებელი დანაშაული ჩადინეს ქართველი ერის წინაშე და ეს ტერორისტული ქმედებები დღემდე გამოუძიებელი და დაუსჯელია. უფრო მეტიც, მარადიული

მხედრონელი, ტერორისტი გუგუშაშვილი საოკუპაციო ადმინისტრაციის ტელევიზიებში („იმედი“, რუსთავე-2 „პროფილი“) გმირად წარმოვიჩინეს. ჩვენი ქვეყნის მოელ მოსახლეობას, კარგად ახსოვს 1992-93-94 წლებში საქართველოში და სამეგრელოში დატრიალებული ტერორიზმის გამოვლინებათა სერია, და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ტელევიზიულად მხედრონელი ქალის დ. გუგუშაშვილისა და სხვა ყანალების მიერ სამეგრელოს სოფელ დარჩელში 27 სახლის გადაწვა.) ეს ე.წ. პატივითი, დღეს, ვითომდა რუსების წინააღმდეგ ხმალამოებული მებრძოლი რუსებისავე სპეცნაზთან ერთად იბრძოდა ქვეყნის ეროვნული კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, მათ დაამხეს ზვიად გამსახურდიას ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი ხელისუფლება და კონსტიტუციური ხელისუფლების წარმომადგენლები ფიზიკურად განადგურეს, რაც ჯაბა იოსელიანმა საჯარო განცხადებით დაადასტურა: „ომი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ რუსეთის არმიამ მოგვაგებინა“ – ჯ. იოსელიანი. ამ დანაშაულთა ხროვამ, პატარ-პატარა იარაღიან დაჯგუფებებთან ერთად, ტყვია ესროლა საქართველოს თავისუფლებას და მის ბუნებრივ განვითარებას.

საკმარისია გავისხნოთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია, მერაბ კოსტავას მკვლელობა ბორითის გზაზე, ასევე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა (არკადი მარკოზიას, ამირან კალაძის, ხობის პრეფექტის თენგიზ ქაჯაიას მკვლელობები), ჭეშმარიტი მამულიშვილის მხატვარ ვახტანგ ნოდის – ცოცხლად შეკლავის მოჭრით ტერორისტული აქტი ფიზიკური განადგურება და სხვა მსგავსი მკვლელობათა სერიები, რომელთა გამოძიება არც დაწყებულია და მათ გამოძიებაზე საერთოდ არ არსებობს საუბარი. არაფერს გამოობთ, სხვა პოლიტიკურ განმარტებულ ტერაქტებზე, რომლებიც ასევე გამოუძიებელია.

1992-93-94 წლების სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორები ჩამოყალიბდნენ ტერორისტულ პოლიტიკურ დაჯგუფებად, თანამედროვე ქართულ სინამდვილეში და ეს „პატივცემული“ ადამიანები კვლავ გაუსამართლებელი და დაუსჯელები არიან: თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი, გ. ყარაგაშვილი, დ. გუგუშაშვილი და მრავალი სხვანი, რომელთა შვიდი და სულს ჩამდგმული ედ. შევარდნაძე და რომელიც მიერ ტერორიზმის დანერგვა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში (ციხეში და ციხის გარეთ) გაიღვა ფესვები, დღევანდელი გაუგონარი ბოროტების თარეშის საფუძველთა საფუძველია. ამიტომ აუცილებელია ყველამ ვისაც კი სურს უსამართლობასთან რაიმე სახით ბრძოლა მან მისცეს პოლიტიკური შეფასება 1991-1994 წლებში განხორციელებულ პუტჩს და მოითხოვოს მისი ძირფესვიანი გამოძიება. ვინც შეგვდება ებიზოდურ გამოძიებას და მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების იგნორირებას და ხელს დაფარებს მათ, ეს იქნება მათი მცდელობა მთავარი დანაშაულის მიჩქმალვა. აქედან გამომდინარე, ისინი დანაშაულის თანამონაწილეები არიან. პუტჩის დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი მიუტკეპელი ქმედებები ლეიტმოტივად გასდევს ჩვენს ქვეყნის ბოლოდროინდელ ისტორიას და ეს რა თქმა უნდა არცთუ ისე მცირე პერიოდი თაობათა ზნეობრივი და ფიზიკური განადგურების საქმეში. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ ასე მძლავრად იფუტქა და თავი შეახსენა საქართველოს მოსახლეობას ტერორისტულმა აქტებმა ბოლო 22 წლის მანძილზე. (მარტო 1992 წლის 2 თებერვლის ნახევარმილიონიანი მიტინგების დახვერება კმარა).

ყველაზე დიდი ტერორისტული აქტი გახლავთ ხალხის მიერ არჩეული კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობა, მისი ქვეყნის გარეთ განდევნა, პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაცია და ამ სახელმწიფო დანაშაულთა

გამოუძიებლობა.

იური ვახაგაშვილის მკვლელობაც სწორედ მისი ლოკოკური გაგრძელება გახლავთ. ეს ტერაქტი მანქანებელია ახალი ძალით მათი განახლებისა, ქართველი ხალხის დამონებისა, რამეთუ შიში და ძრწოლა გახლავთ ის იარაღი, რითაც დღესდღეობით აპელირებენ მსოფლიოს ბოროტი ძალები, როგორც საქართველოს ასევე მსოფლიოს ხალხთა თავისუფლების იდეალების და მათი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

90-იანი წლებიდან დღემდე საქართველო შევარდნაძისა და მისი უშუალო მემკვიდრის სააკაშვილისა და მათა მისთა წყალობით, ტერორისტული აქტების ვანდალურ ქვეყანად წარმოჩენილი მსოფლიო საზოგადოებისათვის.

ეროვნული კომიტეტი მთელი პასუხისმგებლობით, საჯაროდ აცხადებს, რომ ვიდრე პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა პუტჩის შემდეგ ჩადენილ შევარდნაძე-საკაშვილის ტერორისტულ-კანინალურ რეჟიმების დანაშაულებრივ ქმედებებს, ვიდრე აღნიშნული რეჟიმის მოთავეები არ წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე, არ აგებენ პასუხს მათ მიერ ჩადენილ სახელმწიფო დანაშაულებზე, ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ არ დაესმება წერტილი ანტიკონსტიტუციურ თარეშს და ქვეყანა არ მოექცევა სამართლებრივ სივრცეში, ტერორიზმი ჩვენი ქვეყნის თანამდევ ცხოვრების წესად დარჩება, რაც თავისთავად, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად ეჭვემე დააყენებს მის არსებობას. მაგრამ ყველაზე საგანგაშო ის გახლავთ, რომ დღეს ტერორისტ „პოლიტიკოსთა“ არმია კვლავ სახელმწიფოს მართვის სათავეებთან იმყოფება და პატივსა და დიდებაშია, ქართველი ხალხის გადატაცების ხარჯზე, ფუფუნების ზღვარს გადასულ „მწვერვალებზე“ ახობებულნი.

დღეს თუ ვინმე კიდევ გაბედავს და შეეცდება ამ თანმიმდევრულ დანაშაულთა შეფასების დროს, მათ დანაწევრებას და საკითხს დანაშაულთა ერთობლიობაში არ განიხილავს, იგი თანაბრად დანაშაულს იქნება ერისა და ქვეყნის წინაშე.

ის რომ ხუმრობდნენ ტერორისტული ორგანიზაციის მეთაურიც და მრავალი სახელმწიფო დანაშაულს დიდების მწვერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში და სხვადასხვა საპატიო ადგილებში „განისვენებენ“, ქვეყნის ზნეობრივი კატასტროფის მიუწვეველია. რომ აღარაფერი ვთქვათ კრწანისის წმინდა მიწაში ჩაფლულ შევარდნაძეზე. ტერორიზმის სათავეებთან მდგომი მზაკვართა მიერ მოკლული ადამიანების პომპეური დაკრძალვები, როგორცაა სამების ეკლესიიდან გამოსვენება, ეს ზნეობრივი კატასტროფა, დღევანდელი ე.წ. ინტელექტუალური და „სულიერი“ საზოგადოების ქმედების ნაყოფია. და დღეს ნიანგის ცრემლების დგრა ი. ვახაგაშვილის მუხანათური მკვლელობის გამო სხვა არაფერია, თუ არა მორიგი ფარსი.

**ბიორბი კავკასიელი (კერვალისი),
კომიტეტის მთავარი კოორდინატორი,
სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის
ასოციაციის პრეზიდენტი;
ბსმ (ბასარიონ) მიძაპა,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;
მღვდელი ილარიონი (ჯანელიძე);
ნანა კახიანი,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;
ზურაბ თობალია,
ჟურნალისტი;
ნუზურ კობახიძე,
ადამიანის უფლებადამცველი;
მზია ბაძრაძე,
დევნილი ჟურნალისტი;**

ნილო ღობოროჯბინიძე – ორიოდ სიტყვა მიცნიერების მართვისა და ბანკარბვის საფრთხეზე – წინათმხასავრით

(წინა ნომრის გაგრძელება)

„ჩემთვის, როგორც ენათმეცნიერისა და ქრისტიანისთვის, უფრო მისაღებია, პატიოსანი ნაბიჯი იქნება, საერთოდ განვერიდო მეცნიერებას, ვიდრე ვიქადაგო სიცრუე. მე მიჩნევიან, დიდ ქართველ მეცნიერებთან: ალექსანდრე ცაგარელთან, ნიკო მართან, ივანე ჯავახიშვილთან, იოსებ ყიფშიძესთან, აკაკი შანიძესთან, ვიორგო ახვლედიანთან, არნოლდ ჩიქობავასთან, ვარლამ თოფურიასთან, ვიორგო როგავასთან, ქეთევან ლომთათიძესთან, ტოვო გუდავასთან, გივი მაჭავარიანთან, თამაზ გამყრელიძესთან, ბესიკ ჯორბენაძესთან, ავთანდილ არაბულთან და სხვებთან ერთად საქართველოს მტრის იარაღები მქონდეს მოკერებულნი, ვიდრე მავანივით პატრიოტის სახელი დავიწყო და საქმით ვუმტრო საქართველოს“ (გვ. 9-10). „სამწუხაროა, რომ მათ შეცდომაში შეიყვანეს პატრიარქი, მიაწოდეს მას მცდარი ინფორმაცია, მათ საჩივრით მიმართეს ენათმეცნიერების სამინისტროს, უფრო მეტიც, გახუტეს „ახალი თაობის“ ფურცლებიდან დაგვეშუქნენ კიდევ პოლიტიკოს ლ. მარშანიას პირით, თუ არ გავიზიარებთ ფუტკარაძე-გვანცველადის თვალსაზრისს, ისინი დასკვნას დაუდებენ პრეზიდენტს და პარლამენტს თავმჯდომარე მიიღებენ გადაწყვეტილებას, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიასა და სხვათა მეცნიერული შედეგები „გაუქმდეს““ (გვ. 11) „არ ხდება მეცნიერული არგუმენტირება, არამეცნიერული ინათლება მეცნიერულად, ასეთ შემთხვევაზე იტყვიან, კომენტარი ზედმეტი“ (გვ. 12).

გარდა ამგვარი ემოციური შეფერილობის გამოსვლებისა, ენათმეცნიერები მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის უსაფუძვლო თეორიას [14] წმინდა ლინგვისტიკური არგუმენტებითაც დაუპირისპირდნენ და შეახსენეს ისტორიულ-შეადრებით ენათმეცნიერებაში აღიარებული თეორია ენათაოჯახების შესახებ, წინააღმდეგობის დიფერენციალ-დიფერენციალის ცნობილი პროცესები და ის ლინგვისტიკური კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ღვინდობა ზღვარი ერთი საერთო ენიდან მომდინარე ენებსა და დიალექტებს შორის (იხ. კრებული, გვ. 18-19). შეახსენეს ენისა და დიალექტის ტერმინთა სპეციფიკა თეორიულ ენათმეცნიერებაში, შეადრებით ენათმეცნიერებასა და სოციოლინგვისტიკაში (კრებული, გვ. 6-7). მიტროპოლიტს პირდაპირ უთხრეს, რომ ისინი, ვისაც რატომღაც ზედმეტად ერნობს საპატრიარქო, არამეცნიერული და პოლიტიკური იდეების მქონე ადამიანები არიან, თქვენ შეცდომაში შეგიყვანეს და მათ თავი აარიდეთ. შდრ.: „მოხდა პრობლემების პოლიტიზირება: მეცნიერული პრეტენზიის მქონე კოლეგები აცხადებენ, ვინც ჩვენს თვალსაზრისს არ გაიზიარებს, ის ქვეყნის, ერის მტერია. ამთავითვე გვინდა განვაცხადოთ: მეცნიერული საკითხის პოლიტიზება არასოდეს არ მოუტანია სიკეთე არც მეცნიერებისათვის და არც პოლიტიკოსისთვის“ (კრებული, გვ. 75).

საპატრიარქოს მესვეურებს ენათმეცნიერებმა ოცდაათიანი წლების მწარე ისტორიაც შეახსენეს, როცა აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, ვიორგო ახვლედიანისა

და სხვათა მეცნიერულ თვალსაზრისებს საბჭოთა მეცნიერების მესვეურები ეძახდნენ „რეაქციულს, სრულიად მიუღებელს და ფორმალისტურ-სოფისტიკურს, რომელსაც ენგელსმა უკვე გასცა გამანადგურებელი პასუხი“ (კრებული, გვ. 78-81); ხსენებულ კრებულში მოვლი თავი ეთმობა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ ცნობილი ენათმეცნიერების მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს; სამოცდაათ გვერდზე მოთხრობილ ამ სამარცხვინო ამბებს ასეთი სათაური აქვს: „საუბედუროდ, ისტორია მეორდება“ (კრებული, გვ. 75-135). ამით ლინგვისტიკა იმაზეც მიანიშნებს ოპონენტებს, რომ თქვენი დღევანდელი გამონათქვამები საუკუნოდ ემსგავსება წინამაჟვლელ საბჭოთა მესვეურების გამონათქვამებს. მაგრამ ამ „უცნაურმა მსგავსებამ“ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ვერ დააფიქრა, მას ვერ გადაათქმევინა საკუთარი თუ სხვათა ნაკარნახევი სამეცნიერო ახირება, თუ შეაფარდა, არ მიეღო მონაწილეობა ისტორიის ამგვარ გამოკრებულში, და ვერც საპატრიარქოს შეუცვალა პოზიცია. პირიქით, საქართველოს პატრიარქმა საშობაო ქადაგებაში ღამის დააკანონა ეს ახირება, როცა უარყო მეთოდოლოგიური მტკიცებულებები და საკმაო კატეგორიულობით გამოაცხადა, რომ მეგრული და სხვანაირი დიახაც ქართულის დიალექტებიაო.

სამწუხაროდ, ამითაც არ დამთავრებულა ყველაფერი. პატრიარქის ბრძანებით შეიქმნა ორი კომისია: ერთი – საისტორიო, რომელსაც დაევა საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის დადგენა თუ შემუშავება და მის ხელმძღვანელად დაინიშნა სწორედ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, რომლის მეცნიერული შესაძლებლობები, რბილად რომ ვთქვათ, ვერაინარ კრიტიკას ვერ უძლებს. მას დიად დაუდასტურეს ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეკრებაზე დიდი პატივისცემა და მოწოდება. ამ შეხვედრაზე, სხვათა შორის, ყველა გამომსვლელი ამით იწყებდა სიტყვას და არწმუნებდა მიტროპოლიტს, შეცდომაში შეგიყვანეს თქვენც, საპატრიარქოც, თავად პატრიარქიც, საშინო ცეცხლს ეთამაშებით, სამარცხვინო ისტორიის გამოკრებას გვგვამთ უმეცრებით და ნუ მოგვთხოვთ მორჩილებას მეცნიერებაში, ვერ დაგვემორჩილებით, ამას მოვალეობის ტიტული გვერჩევინათ.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ერთი უკუღმართობაც უნდა ვახსენო, ეს გახლავთ ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი მათმეცნიერების სენი. ენათმეცნიერები გულწრფელად ფიქრობენ, რომ მიტროპოლიტის ნაწერებს არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან, რომ ეკლესია არ უნდა ერეოდეს მეცნიერებაში და მით უმეტეს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია, გააუფანა მოახდინოს მეცნიერული აზრის განვითარებაზე, ყველაფერ ამას ისინი პირდაპირ წერენ ზემოთდასახელებულ კრებულში, მაგრამ რა ქნან, იძულებულიები არიან, „აამონ“ მიტროპოლიტს და სიმართლე, მეცნიერული პრინციპულობა ყალბი ქებისა და მორჩილების სიტყვებით გაახავონ: ზემოთდასახელებულ კრებულში ენათმეცნიერები, ერთი მხრივ, ამტკიცებენ, რომ ქართველური ენების მიმართ ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ „ანგაჟირებული პოლიტიკანი კვაზიმეცნიერების“ უსაფუძვლო მოსაზრებაა,

მაგრამ, მეორე მხრივ, ამ უსაფუძვლო მოსაზრების ერთ-ერთ ავტორს, საპატრიარქოს წარმომადგენელს, ასეთი სიტყვებით მიმართავენ: „თქვენ არამარტო ჩვენი დედაეკლესიის თვალსაზრისით მღვდელთმთავარი ბრძანდებით, თითოეული ჩვენგანი თქვენ აღვიკვამთ როგორც მეცნიერს, ისტორიკოსს, ვინც არცთუ მცირედი დავაწი დასდო საქართველოს ეკლესიისა და სოციალურ ქართველთა ერისა და საქართველოს ისტორიას პატრიარქთან და ეკლესიასთან კი კამათს არც ერთი მორწმუნე მეცნიერი არ აკადრებს, არც ეკლესიას და არც საკუთარ თავს, როგორი დარწმუნებულიც არ უნდა იყოს საკუთარი პოზიციისა და ცოდნის უცდომელობაში“ (კრებული, გვ. 8).

რა გამოდის? გარკვეული სივრცის ფარგლებში, გნებავთ განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე ადამიანთა წინაშე მეცნიერი ჭეშმარიტების მეთოდოლოგიურ ძიებაზე ამბობს უარს? როდის არის ის გულწრფელი, როდის უნდა დავიჯეროთ მისი? ნუთუ დღეს ეკლესიამ მეცნიერული კამათისთვის მოიცალა, როცა მორალურად, სოციალურად თუ სხვა თვალსაზრისით სრულიად დაუცველი მრეკელი ჰყავს, ამდენი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი? რა ჰქვია ამ ყველაფერს, თუ არა მეცნიერთა უფლებებისა და საქმიანობაში უხეშად ჩარევა, როცა დისციპლინარულ (და არა აღმსარებლობით) სფეროში მეცნიერებისგან მეთოდოლოგიური გამართულობისა და სიზუსტის მაკვიერ სრულიად გაუმართლებელ მორჩილებას ითხოვენ?

საქართველოს პატრიარქის ბრძანებით შექმნილმა მეორე კომისიამ ენათმეცნიერების ჭეშმარიტი საფუძვლები უნდა დაადგინოს. მის ხელმძღვანელად დაინიშნა ფუტკარაძე-გვანცველადის მესამე თანამშრომელი, კალბატონი მანანა ტაბიძე, ზემოთაც ვთქვი და ახლაც უნდა გავიმეორო, რომ ეს უკანასკნელი პირველი ორისგან ნამდვილად განსხვავდება მეტი ტაქტით, მაგრამ ეს ბევრს ვერაფერს შეუძლის, როცა ენათმეცნიერებს არა ენათმეცნიერი, არამედ სხვა ვინმე, თუნდაც დიდი ავტორიტეტის მქონე საქართველოს პატრიარქი უნიშნავს „დირექტორს“ თუ იდოლოგს. რა, შეიცვალა მეცნიერებაში მუშაობის მეთოდოლოგია? ეკლესიამ უნდა განსაზღვროს და დააკანონოს, რა არის ჭეშმარიტი ისტორია ან ლინგვისტიკა, ან რომელიმე სხვა დარგი?

დღეს ამ კითხვებზე პასუხი, სამწუხაროდ, არ არსებობს. ისტორია, კი, რაგინდ ერთმნიშვნელოვნად ბნელი და სამარცხვინო არ უნდა იყოს, მაინც მეორდება: აკაკი შანიძის, ვიორგო ახვლედიანის, ვარლამ თოფურიას, ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და სხვათა მეცნიერული ნააზრევი, თურმე ნუ იტყვი და, ყოფილი მათვლიტის თანამშრომლებმა და მათმა თანამოაზრეებმა უნდა დაადგინონ ხელახლა. გულწრფელი მკითხველი იოლად მიხვდება და დამეთანხმება, რა სამარცხვინოა საბჭოთა, განსაკუთრებით ოცდაათიანი წლების, ისტორიის გამოკრება, როცა ხალხის ბელადმა მეცნიერებას, მეცნიერული მეთოდოლოგიის კეთილსინდისიერად მიმდევარ პროფესორებს „წითელი პროფესურა“ მიუჩინა ზედამხედველად და მეცნიერული მორჩილება

უბრძანა. დღევანდელ, განსხვავებული ფერის პროფესორებს (წითელი ადარ არის „მოლაში“, პატრიოტი ენათმეცნიერები „საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მომხრეთა“ წინააღმდეგ ახლა სხვა ფერით გაძლიერდნენ), მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ მეთოდოლოგიის მიმდევარი მეცნიერების იდოლოგიზება და მორჩილებაში ყოლა გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებშიც კი ვერ მოახერხა იმ დროს ხალხის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილმა ბელადმა და მისმა გარემოცვამ. ამის იმედი დღესაც ნურავის ექნება, თავს ნუ მოიტყუებს მამამეული საზოგადოების ფიცითა და მორჩილებით.

კიდევ ერთი სამწუხარო ანალოგია მაშინდელსა და დღევანდელს შორის: ოცდაათიანი წლებში ქართულ ენათმეცნიერებას ევროპულ სამეცნიერო კონტექსტთან ახლოს ყოფნისა და საბჭოური ღვინდის ენობრივი პოლიტიკის ურჩობას ედავებოდნენ. შდრ.: „პროლეტარიატის რევოლუციური თეორიისთვის ასეთი თვალსაზრისი უცხოა, მისი (იგულისხმება ვიორგო ახვლედიანი) თეორია რეაქციულია და მიუღებელი, სასესიო ყალბია, ამგვარად საკითხის დაყენება წმინდა წყლის ინდოევროპეოზმია, დღემდღური თეზა იმპერიალისტიკური ენათმეცნიერების გულმავიწევი პედანტობის ნაყოფია ისინი (პროფესორი ვიორგო ახვლედიანი და მისი თანამოაზრეები) სუბიექტური იდეალიზმის საფუძველზე იდგნენ, მათ წინააღმდეგ გამანადგურებელი ბრძოლა ღვინდმა გააჩაღა“ (მასალები დამოწმებულია ზემოთდასახელებული კრებულის ერთ-ერთი თავიდან: „საუბედუროდ, ისტორია მეორდება“, გვ. 83-85).

ლეონარდო. მაინც... იქნებ სხვა დროისთვის გადავლო... ლიზი. ნუ ყოყმანობ. მომენტი ხელიდან არ გაუშვი! ერთადერთი ცოცხალი მოწმე მე ვარ. მისტერ მანიფლდის წასვლიდან ათი წუთის შემდეგ ყანალები შემოცვივდნენ... მე გამკოჭეს, სკამზე მიმაბეს, პირზე სკონი ამაკრეს... ძვირფასეულობას და ფულს ემებდნენ... ჯენიფერმა წინააღმდეგობა გაუწია, მობილური ცდილობდა პოლიციის გამოძახებას... ერთ-ერთ ყანადს ნერვებმა უმტყუნა, პისტოლეტი ესროლა... სროლის ხმამ და ჯენიფერის სიკვდილმა ყანალები ისე დააფრთხო, რომ ძვირფასეულობა არც უძებნიათ, სასწრაფოდ გაიქცნენ. როგორც ჩანს, მათ გეგმაში მკვლელობა არ შედიოდა.

ლეონარდო. ძალიან კარგი. რამდენი იყვნენ? ლიზი. ოთხნი.

ლეონარდო. იცნობ? ლიზი. ნიღბები ეკეთათ. ვერ ვიცი. ლეონარდო. ხმა ხომ არ გეცნობ?

ლიზი. არა. ხმა არ მეცნო, მაგრამ „ტოს“ ხშირად იმეორებდნენ.

ლეონარდო. ფიქრობთ, რომ თბილისელები არიან?

ლიზი. ვერაფერს გეტყვით. ეგ თქვენი, გამოძიების გასარკვევია.

პაშუხა

ხელთათმანები ჩაიცივი (აწვედის რეზინის ხელთათმანებს). თოფი სუფთაა, თითების ანაბეჭდს ვერ ნახავდი, საგანგებოდ გავწმინდე... ხელსაყრელ მომენტს ნუ გაუშვებ!

შური იძიე დალატისათვის, დამცირებისთვის, იმისთვის, რომ მამამისი და მისი ძმა წილში ვისხედან და სისხლსა გწოვენ!

ლეონარდო. მანიფლდი... ლეონარდო... არ დაიდარდო! (გადის)

ლეონარდო აივანზე ბოლთას სცემს. საათზე იყურება.

ლეონარდო (თავისთვის) შურისძიების დრო მოვიდა, გულო გამაგრდო!... დალატისათვის ჯენიფერს მოკვდინება, მე კი ნანატრი თავისუფლება... კანონის ძალით, ექვსი თვის შემდეგ ჯენიფერის სააქციო პაკეტი მე შეკუთვნის!

პაშუხა

(დასცქერის საათს) დრო! ალბათ ილოცა და გველის კონსერვიც მიირთვა... რა თქმა უნდა თვითონ მოსვლას არ იკადრებს, მე უნდა ვეახლო... (ჩახმახს ფეხზე შეაყენებს) ერთი ჟაკანი სულს ამოხდის, მაგრამ მეორეც საჭიროა... საკონტროლო... ასეც ვიზამ!

თოფშემართული ლეონარდო ჯენიფერის საძინებელ ოთახში შესვლას აპირებს. რეკავს მისი მობილური ტელეფონი.

ლეონარდო. დიახ, გისმენთ. ხმა. ლეონარდო, ჯორჯს ცოლად მივეყვები! მომილოცე! ჯორჯის თვითმფრინავი უკვე პავრშია და სულ მალე შენს ავარაკს გადაგვფრენს!

ლეონარდო (გაოგნებული). რაო? ჯენიფერ, შენ... შენ... (შეაღებს „საპანის“ კარს) სადა ხარ? საიდან რეკავ?

ხმა. ხომ გითხარი, ჯორჯს ცოლად

მე სამხარეულოში ვიქნები. თოფი და სკონი გამზადებული მაქვს... ჰო, ციანიდი აღარ გეჭირდება, გადავდგარე... ამპულაც მოგსპუ... კვალი არ დარჩა... (გადის).

ლეონარდო კედლიდან თოფს ჩამოხსნის.

ლეონარდო. ჯენიფერ! ჯენიფერ! შემოდის ჯენიფერი.

საღამოში გადი და ილოცე სიკვდილის წინ, მონიანიე.

ჯენიფერი. ლეონარდო, მკლავ? არა ხუმრობ?

ლეონარდო. რა მეხუმრება! წადი ილოცე! ჯენიფერი. გონს მოდი, რას ჩადიხარ!

ლეონარდო. ჯობს ილოცო, დროს ნუღარ კარგავ!

ჯენიფერი (თავისთვის) შეშლილის სახე აქვს... ოჰ. ღმერთო, მაგრამ მეტი ბარბაროსია! მთავარია დრო მომცეს ლოცვისთვის, თუ მე ვიცი... ქალი არ ვიყო მწარედ თუ არ ვანანე! (ლეონარდოს) ლეონარდო, დრო მომეცი (ლოცვისთვის, მოიწინაო... (აპირებს გასვლას).

ლეონარდო. ჯერ შეიცადე, ვიდრემდე მოგკლავ უნდა გითხრა ორიოდ სიტყვა. მე მამაშენის კლანისათვის გამიწვივა სამსახური, ეს მამაშენმაც კარგად იცის, იმ შენმა ძმამაც, სხვის გადაგდებას ბიზნესგეგმას რომ ეძახის... მათ გამდიდრებას ჩემი ჩაგვრა ელო საფუძვლად... მაგრამ დღეიდან პროორიტეტი შურისძიებას ენიჭება! შენ კი დალატისთვის დაისჯები, რადგანაც ვიცი სიყვარული მე ქალაქური! (ხელით გასვლას ანიშნებს).

ჯენიფერი (თავისთვის). დეზემონასთვის ბაბოი პლატოქი, ჩემთვის ბალახი გამომხმარი... ბედის მწერალმა ასე იწება... (ლეონარდოს) ლეონარდო, გემორჩილები... გემშვიდობები...

ლეონარდო (დიდსულოვნად) შეგიძლია ლოცვის შემდეგ ჩხრილა გველის კონსერვი მიირთვა და კოკა-კოლაც დააყოლო.

დრო საკმაო გაქვს, თუმც არც თუ ბევრი. მხოლოდ ერთი საათი, მაქსიმუმ საათნახევარი. მგონი მოასწრებ სიკვდილისთვის მომზადებას.

ჯენიფერი. ლეონარდო... ლეონარდო... არ დაიდარდო! (გადის)

ლეონარდო აივანზე ბოლთას სცემს. საათზე იყურება.

ლეონარდო (თავისთვის) შურისძიების დრო მოვიდა, გულო გამაგრდო!... დალატისათვის ჯენიფერს მოკვდინება, მე კი ნანატრი თავისუფლება... კანონის ძალით, ექვსი თვის შემდეგ ჯენიფერის სააქციო პაკეტი მე შეკუთვნის!

პაშუხა

(დასცქერის საათს) დრო! ალბათ ილოცა და გველის კონსერვიც მიირთვა... რა თქმა უნდა თვითონ მოსვლას არ იკადრებს, მე უნდა ვეახლო... (ჩახმახს ფეხზე შეაყენებს) ერთი ჟაკანი სულს ამოხდის, მაგრამ მეორეც საჭიროა... საკონტროლო... ასეც ვიზამ!

თოფშემართული ლეონარდო ჯენიფერის საძინებელ ოთახში შესვლას აპირებს. რეკავს მისი მობილური ტელეფონი.

ლეონარდო. დიახ, გისმენთ. ხმა. ლეონარდო, ჯორჯს ცოლად მივეყვები! მომილოცე! ჯორჯის თვითმფრინავი უკვე პავრშია და სულ მალე შენს ავარაკს გადაგვფრენს!

ლეონარდო (გაოგნებული). რაო? ჯენიფერ, შენ... შენ... (შეაღებს „საპანის“ კარს) სადა ხარ? საიდან რეკავ?

ხმა. ხომ გითხარი, ჯორჯს ცოლად

მივეყვები... ჩვენ საკუთარ თვითმფრინავში ვართ.

ლეონარდო. ჯენიფერ, დაბრუნდი, მიეჯარხარ... ძალიან მჭირდება... იცოდე გეხუმრე, შეშინება მინდოდა... დაბრუნდი, ჯენიფერ!

ხმა. ქორწინების ბეჭედი მაგიდაზე დევს. განქორწინების თანხმობას მალე გამოვიგზავნი.

ლეონარდო. შეშინება მინდოდა... გეხუმრე... მიყვარხარ... დაბრუნდი! ლიზი, ლიზი (შემოდის ლიზი) უთხარი, რომ ვხუმრობდი, იქნებ შენ დაგაჯეროს.

ხმა. მორჩი ფახი-ფუხს! ერთხელ მაინც კაცურად მოიქეცი! ნუ გეშინია, მოკვლას რომ მიპირებდი პოლიციას არ ვაცნობებ, ჯორჯი საღამს გითვლის... მოხოვა შეგატყობო, რომ კონტრაქტს არდევებს და საქმეში ჩადებული ფული უკან მიაქვს... ჩემი კუთვნილი პაკეტი კი მე მიმაქვს. გუდ ბაი!

ლეონარდო. რა? ეს რა მითხრა? ფული უკან მიაქვს? ჯენიფერის პაკეტიც? ახლა კი ორივეს მოგკლავი, არ დაგინდობთ!

თვითმფრინავი გრუხუნით გადაფრენს თათქირიძეების ავარაკს. ლეონარდო მოაჯირს გადაყვრნობა და თოფს თვითმფრინავს ესვრის. ისმის ჯერ ერთი ჩახმახის ჩხაკუნი, მერე მეორეც.

ფუ! (თოფს იატაკზე მოისვრის).

პაშუხა

ლიზი. კიდევ კარგი არ გავარდა, თორემ როგორც ტერორისტს დაგეტყვდნენ და ცხეში ჩაგსვამდნენ... ან კიდევ უარესი, სახელგანთქმული გენერალი თევზაძე საქართველოს საპატიო სივრცის დასაცავად თავს ჯარში გიკრავდა!

ლეონარდო. ლიზი, ახლა ხუმრობის ხასიათზე ვარ? რომ ხედავ გამძარცვეს, მომატყუებს... აღარც ღმერთის ეშინიათ და აღარც კაცის...

ლიზი. დამშვიდდი, ახლებურად ცხურებამ ასე იცის (შემოიხსნის მოახლის წინსაფარს და ძირს ავდებს).

ლეონარდო. გამძარცვეს... ნოლზე დამსვეს...

ლიზი ლეონარდოს სავარძელში ჩახვამს. ბეჭეტი და კისერზე მასაჟს უკეთებს.

ლიზი. რაც მოხდა, კარგად მოხდა... თავს უშველა, გაიტყვა...

ლეონარდო. მაინც როგორ მოახერხა გატყევა? რა ეშმაკის ფეხია!

ლიზი. ფანჯრიდან გადაიკრებოდა და საწვიმარ მილს ჩაყვებოდა... ეს ვერ გავითვალისწინეთ... კიდევ კარგი, ჯოჯოხეთი აგვედა! შენ კი საკმაო რაოდენობის ფული და უძრავი ქონება დაგჩნდა!

ლეონარდო! იმ ღორმა იანკმა ცოლი წამართვა და რაც მთავარია გამაკოტრა!

ლიზი. ამას ვერაფერს უშველი... მინდი, ჩემი გაკეთებული ხინკალი გასინჯე (ლეონარდოს მუხლებზე ჩამოჯდება). აბა, გააღე პირი! აი, ასე... (პირში ხინკალს უდებს) ხომ გემრიელია? ხინკალზე როგორა ხარ?

ლეონარდო. ვაცივითა ვარ, ვაცივით!

პაშუხა

ლიზი - ჯენიფერმა ქორწინების ბეჭედი დატოვა. მე მას თვალისწინივით გავუფრთხილდები...

ლეონარდო მაგიდიდან ბეჭედს იღებს და ლიზის თითზე უკეთებს. ხანგრძლივი კოცნა. ეშვება ფარდა, რომელზეც მსხვილი ასოებით აწერია

Happy end!

თიანგი კუპლაფილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოაღბილე და დეკუტატები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ

ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოაღბილე და საკრებულოს წევრები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. მიზეზი სტადიონის მშენებლობის დაგვიანების და უხარისხოდ აშენებული სპორტკომპლექსის საკითხები იყო. ამ სიტყვიერება უკმაყოფილება გამოიწვია საკრებულოს წევრების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ - ბათლომე შელიას და ანა წითლიძის. სხდომაზე ერთის მხრივ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გიორგი თოღუა, ანა წითლიძე და ბათლომე შელია, მეორეს მხრივ ანა წითლიძე და ნატალია შეროზია. გაუღერდა ურთიერთბრალდებები სტადიონის დაგვიანებასთან დაკავშირებით, ასევე უხარისხოდ აშენებულ სპორტკომპლექსზე. „ცხრა წლიან სისხლიან რეჟიმს“ და დაპირებების შეუსრულებლობაზე. საკრებულოს წევრებმა ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს. „შეგვიძლია ვისაუბროთ ფეხბურთის სტადიონზე, რომელიც ქალაქელებს, და საერთოდ არავის არ კითხეს, ისე დაან-

გრიეს. ფაქტობრივად დღეს ქალაქში სტადიონი არ არსებობს. ის სპორტული დარბაზიც, დამეთანხმებით, თავის დროზე უხარისხოდ იყო აშენებული. აი, ამიტომ გვიწევს ჩვენ დამატებით 600 ათასი ლარის გამოყოფა. ფუნდამენტი არ აქვს. არ ვიცი, ვინ ჩაიბარა მაშინ, რა მოხდა, როგორ მოხდა, მაგრამ არის საშინელ მდგომარეობაში“, - განაცხადა გოგა თოდუამ. მის საპასუხოდ საკრებულოს წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ბათლომე შელიამ აღნიშნა, რომ როცა სტადიონის დემონტაჟი განხორციელდა, მაშინ ალტერნატივა განმუხურის საფუძვლით მოუდანი იყო, რომელიც მისი თქმით, თითქმის მიახლოებული იყო ევროპულ დონესთან: „იცით რატომ გაჩერდა ეს სტადიონი, გაკეთ ინფორმაცია? 200 ლარიანი უყურადღებობის გამო ამ ხელისუფლების პირობებში. როცა საუბრობთ, რომ საშინელება ჩავიდინეთ, 200 ლარიანი უყურადღებობა გაისხენთ“.

რაც შეეხება სპორტკომპლექსის საკ-

ითხს, ბათლომე შელიამ განმარტა: „რა ვიცი ბატონო გოგა, კი დავედვართ, საკრებულოც თამაშობს, ბავშვებიც თამაშობენ, ყველა ვარჯიშობს. კატასტროფული მდგომარეობა იქ არ არის, უბრალოდ რაღაც რემონტი იყო გასაკეთებელი. არ შეიძლება ასე თქმა, რომ კატასტროფული მდგომარეობაა“.

სიტყვიერი დაპირისპირება გავრძელდა წარსული შეცდომების შესხენებით და მოქმედი ხელისუფლების უმოქმედობის ბრალდებებით საკრებულოს წევრებს - ანა წითლიძეს და ნატალია შეროზიას შორის.

იმდღევანდელ საკრებულოს სხდომაზე სულ შეიდი საპროექტო წინადადება მოიწონეს, რომელიც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან უნდა დაფინანსდეს. მათ შორის არის ინფრასტრუქტურული პროექტები - ხიდის, ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა, სანიადვრე არხების რეკონსტრუქცია, საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, ტროტუარების შეკეთება, სპორტკომპლექსის

რეკონსტრუქცია, ზუგდიდში ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეკონსტრუქციის მეორე ეტაპი. შეიდივე პროექტის ჯამური ღირებულება დაახლოებით 14 მილიონ ლარს შეადგენს.

მათ შორის: საფეხბურთო სტადიონის მშენებლობისთვის განსახდურულია 4 მილიონ 800 ათასი ლარი. მდინარე ჩხოუშზე (კედია-ჯავახიშვილი-წადვერის ქუჩები) საავტომობილო ხიდის, ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა და სანაპირო ზოლზე ასფალტირებული გზის მოწყობა - 4 მილიონი, სანიადვრე არხების რეკონსტრუქციისთვის - 2 მილიონ ორასი ათასი, ტროტუარების შეკეთება ერთი მილიონი ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეკონსტრუქციის მეორე ეტაპი - 950 ათასი, სპორტკომპლექსის რეკონსტრუქცია - 600 ათასი, საკანალიზაციო ქსელის მოწყობა - 545 ათასი ლარი.

მსოფლიოში ყველაზე ღრმა გამოქვაბული საქართველოშია! უდიდესი ბანკი, რომელზეც ახალმა თაობამ თითქმის არაფერი იცის

საქართველოს მიწისქვეშეთი საკვება კარსტული მღვიმეებით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ერთ დროს კავკასია ოკეანის ფსკერი გახლდათ. ამაზე მეტყველებს სათაფლის მღვიმეები, ჭიათურის კანიონთა დანაშრეები, სამეგრელოს მთებში განლაგებული მღვიმეები, რომელთა სიგრძე ათობით კილომეტრს შეადგენს და რომელთა უმეტესობა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. ფაქტია ისიც, რომ მღვიმეების შესწავლას არაერთი სპალეოლო-

გი შეეწირა, რომელთა შორისაა ცნობილი ქართველი მეცნიერი-სპალეოლოგი გოზალიშვილი. კრუბერის გამოქვაბული დედამიწაზე დღემდე აღმოჩენილ გამოქვაბულთაგან ყველაზე ღრმაა. მისი სიღრმე 2190 მეტრია. იგი აფხაზეთში, არაბიკის მასივში მდებარეობს. გამოქვაბულს სახელი რუსული და საბჭოთა კარსტოლოგიის ფუძემდებლის, ალექსანდრე კრუბერის პატივსაცემად ეწოდა. პირველად გამოქვაბული

ქართველმა სპელეოლოგებმა აღმოაჩინეს 1960 წელს და 95 მეტრამდე გამოიკვლიეს. მეორედ კრუბერი კრასნოიარსკის სპელეოლოგებმა 1968 წელს მოინახულეს და უკვე 210 მეტრზე გამოიკვლიეს. შემდგომი ექსპედიციები სულ უფრო ღრმად ჩადიოდნენ მიწის ქვეშ და ახალ სიღრმეებს აღწევდნენ. 2007 წლისთვის რეკორდი უკრაინელმა სპელეოლოგმა დაამყარა, რომელმაც 2191 მეტრის სიღრმეზე შეძლო ჩასვლა. რაც შეეხება ქალ-

ბატონებს, პირველი რეკორდსმენი ქალი გახლდათ ლიტველი საულე პენკენე (2140 მეტრი). კრუბერის მღვიმეში გვხვდება მინიატურული სტალაქტიტები, სტალაგმიტები, მრავალფეროვანი ფარდები, ადგილობრივი წარმოშობის ნგრეული და გამოფიტვის მასალა. გარდა ამისა, გამოქვაბულში არის წყლის საკმაოდ მოზრდილი ნაკადები და პატარა ტბები. აღსანიშნავია, რომ მისი წყლები მდინარე რეპრუა საზრდობს.



“მირჩევნია, პრორუსული ვიყო, ვიდრე პროკრილარასტული” – მიშა ბომიაშვილი ქართული ტელევიზიებისა და პროდასავლური პროკაბანდის წინააღმდეგ



“თუ მოზარდ თაობაში ეროვნული სიამაყისა და პატრიოტიზმის ჩაკვლას შეძლებთ, ამ ქვეყანას დაიპყრობთ”.

(რედ.: აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ საგარეო უწყებაში ახალი ქვეყანოფილების შექმნის შესახებ განაცხადა, რომელიც უცხო ქვეყნების რელიგიურ თემებთან ურთიერთქმედების საკითხებში სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკას განსაზღვრავს.

სახელმწიფო მდივანის განცხადებით, “რელიგიურ კონფესიებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად არის საჭირო”.

განსაკუთრებული დანიშნულების არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის მეშვეობით სახელმწიფო დეპარტამენტი სამღვდლოების მადლ და საშუალო რგოლს მოისყიდის, რათა მათ საზოგადოებაში უღრმადღებურად პროცესებზე თვალი დახუჭონ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმას, რომ სასულიერო პირები სულ უფრო აქტიურად ჩაერთონ ამ თუ იმ რელიგიური საზოგადოების სულიერ-ხეობრივი ისტორიული საფუძვლების განადგურების პროცესში).

(რედ.: “იდეალის” კარგ მაგალითად გამოდგება შევდითის ლუთერანული ეკლესიის მეთაური, რომელიც ღია ღვთაობაა.

– პომოსექსუალთა, ლესბოსელობა, პედოფილია და სხვა მარგინალური კატეგორიის უფლებების უნივერსალური აღიარება – სხვადასხვა ქვეყნის ცივილიზაციური კოდის წაშლის მიზნით; ბავშვთა და მოზარდთა უფლებების აღიარება, ოჯახისა და საზოგადოების კულტურული ტრადიციისგან მოწყვეტის მიზნით, ბავშვებთან წვდომის უზრუნველყოფა, მათში ლიბერალური ადამიანის ფორმირების მიზნით;

– ნებისმიერი მარგინალური მრწამსის რელიგიურ თავისუფლებად აღიარების უფლება და მისი ტრადიციულ რელიგიებთან გათანაბრების უფლების აღიარება).

რაც შეეხება ლგბტ-ს, რომელსაც ასე გვატყვინან ამერიკა და ევროკავშირი, ჩვენ მათთვის ერთგვარი პოლიგონი ვართ, როგორც ჩანს, მაშინ თვითონ რატომ აქვთ ასეთი კანონი მიღებული,

(რედ.: მსოფლიო პრაქტიკა. აშშ-ში, ევროკავშირში, იაპონიაში, არაბულ ქვეყნებში, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში პომოსექსუალებს აკრძალული აქვთ სისხლის, ორგანოებისა და ა.შ. დონორობა. ანუ, მათ არ განიხილავენ დონორებად... თუ, მაგალითად, ამერიკაში პომოსექსუალი კვდება, მას არ ეხებიან, მას ორგანოებს არ აცლიან”).

და რაც მთავარია... პრობლემა ლგბტ საზოგადოებასთან ურთიერთობაში არის ის რომ, ისინი პროუკაციულად იქცევიან, ისინი პროვოცირებენ სიტუაციებს, რათა მოაჩვენონ თავი მსხვერპლად... მათ არაფერია არ უშლის უყვარდეთ ერთმანეთი... ღმერთმა ერთმანეთი მოახმარო... მაგრამ ისინი აგრესიულად ახვევენ თავს უმრავლესობას თავიანთ ანუ უმცირესობის “ღირებულებებს”... და ამ ყველაფერში დიდ მხარდაჭერას ჩვენი ტელევიზიები უწყვენ...

და დიდი ზოგნევი კაზიმე ბუჩინსკი, ამერიკელი პოლიტოლოგი, სოციოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე, ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგი, სტრატეგიული და საერთაშორისო მართვის ცენტრის მრჩეველი ბრძანებს რომაო – «После разрушения коммунизма единственным врагом Америки осталось православию»... (რედ.: “კომუნიზმის განადგურების შემდეგ ამერიკის ერთადერთ მტრად მართლმადიდებლობა დარჩა”) ახლა ვიფიქროთ, საით მივძვრებით?..”

მსახიობი მიშა ბომიაშვილი რეიტინგდამონებულ ქართულ ტელევიზიებს აკრიტიკებს:

“სანამ უმცირესობაში არ აღმოჩნდებით!!! არ მოგწონს ტელეგადაცემა?... პულტი გაქვს... დილაკი აქვს ბევრიო, გადართო... გადავრთო, კიდევ გადავრთო... კიდევ გადავრთო... გადავრთო... გადავრთო... გავევიდო!!!... რამდენი უნდა გადავრთო კაცო...???? სადაც არ გადავრთო... უსქესო, გადაკეთებულ-გადმოკეთებულ, უჯიშო, გაუნათლებელი წამყვან-სტუმრიანი, გადაცემა – “თოქ შოუ” შემჩნა... გადავრთავ რუსულ არხზე და პრორუსული ხარო...!!!!? არ მირჩევნია, პრორუსული ვიყო, ვიდრე პროკრილარასტული?.. დავიჯერო, რომ ეგენი უფრო საინტერესოები არიან ჩვენი ქვეყნის ტელევიზიორიისთვის, ვიდრე მხატვრების, მსახიობების, კინოსა თუ თეატრის, სპორტისა თუ მეცნიერების წარმომადგენლების ცქერა, მათი მართლა საინტერესო აზრებისა და ამბების მოსმენა...
გულით მსურს მუსიკოსების, მომღერლების მოსმენა, ოღონდ მართლა მუსიკოსების და არა იმათი, ვინც ჯემად ბალაშვილს, უტიფრად უმტკიცებენ, რომ ფონოგრამაზე “პირის აყოლება” უფრო რთულია, ვიდრე ცოცხლად სიმღერა...
გადააყოლეს ეს ტელევიზია რეიტინგებს... ტ**კს თუ არ იძლევი, გადაკეთებული თუ არ ხარ, მძაკაცის ცოლს თუ არ ხმარობ და თუ არავინ არ მოკალი, მდნობი და ბანძი თუ არ ხარ, საინტერესო არ ხარ მაყურებლისთვის და მსმენელისთვის?... არა ბატონო... ვერც არ არის... ეს უფრო ღრმად ჩაფიქრებული, უფრო სერიოზულად მოფიქრებულია... მიზანდასახულად ნაბიჯ-ნაბიჯ, სისტემატურად, ტვინს გვირეცხავენ... ზომბეზად გვხდიან... და არ მგონია, რომ ჩვენს ტელევიზიებს ეს გაცნობიერებული მქონდეთ, და თუ აქვთ... მაშინ ამაზე დიდი დანაშაული თავისი ერის წინაშე არავის ჩაუდენია... არის ასეთი პროგრამა... დიდი ხნის წინ შეშუშავებული, სპეცსამსახურების მიერ... ეს არ იყო კერძოდ ჩვენი ქვეყნის დასანგრევად შეშუშავებული, მაგრამ დღეს ამას ჩვენს მიმართ მშვენიერად იყენებენ... აი, რამდენიმე ამონაწერი იმ გეგმიდან:

(რედ.: “მოუწამლეთ ახალგაზრდობას სული ცხლოვების აზრის, რწმენის დაკარგვით, გაუღვივეთ ინტერესი ხეკსუალური პრობლემების მიმართ, აცდუნეთ თავისუფალი სამყაროს ასეთი სატყუარებით... დაუპირისპირეთ ახალგაზრდები უფროს თაობას”.

ჩვენი მიზანია ახალგაზრდების გარყვანა; რელიგიისგან მათი განდგომა...
ცრუ არგუმენტაციით მორალური ფასეულობების ნგრევა...

“მკვლელობა ჩაიდინეს ორმა სპეცრაზმელმა” – ბურამ შარაძის ქალიშვილი მამის მკვლელობაზე ახალ ინფორმაციას ავრცელებს

უახლოეს ხანში, გურამ შარაძის მკვლელობის ადგილზე სათვალთვალო კამერით გადაღებულ ვიდეოფილებზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა დაიდება.

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე, გურამ შარაძის შვილმა რუსუდან შარაძემ განაცხადა, კომპანია “აღდაგის” სათვალთვალო კამერებით გადაღებული ვიდეომასალის ექსპერტიზამ უნდა უპასუხოს შეკითხვებს – დამონტაჟებულია თუ არა მასალა და შესაძლებელია თუ არა მკვლელის იდენტიფიცირება.

მისი თქმით, სათვალთვალო კამერებით გადაღებულ მასალას 2007 წლიდან ითხოვდა და ის მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის მეშვეობით ახლახანს მოიპოვა.

როგორც რუსუდან შარაძე ამბობს, ექსპერტიზა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ ჩატარეს და შეჯერებული დასკვნა უახლოეს ხანში დაიდება.

რუსუდან შარაძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ გურამ შარაძე გიორგი ბარათელს არ მოუკლავს. მისი თქმით, აქვს ინფორმაცია, რომ მკვლელობა ჩაიდინეს ორმა სპეცრაზმელმა, რომელთაგან ერთ-ერთი რუსეთში საეჭვო ვითარებაში მოკლეს, მეორე კი – სამეგრელოში, ერთ-ერთ უწყებაშია დასაქმებული.

მოკლულის შვილი მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს “აღდაგს”, რომელიც, მისი თქმით, ამ დრომდე არ პასუხობს გამოძიების შეკითხვას, რა ტიპის კამერები ეყენა კომპანიას გურამ შარაძის მკვლელობის დღეს – 2007 წლის 20 მაისს ქუჩაში.

როგორც რუსუდან შარაძე აცხადებს, კომპანია გამოძიების აღნიშნულ შეკითხვაზე საპასუხოდ აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია კამერის ტიპის შესახებ.

მისი თქმით, კამერის ტიპის დადგენა ხელს შეუწყობს მკვლელის ზუსტი სიმაღლის დადგენას, რაც მნიშვნელოვანია გამოძიებისთვის.

“მკვლელის ზუსტი სიმაღლის დადგენით გამოირიცხებოდა, რომ ის გიორგი ბარათელია, რომელიც სააკაშვილის დროს ამ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს”, – განაცხადა გურამ შარაძის შვილმა.

რუსუდან შარაძის თქმით, “აღდაგი” არ პასუხობს კიდევ ერთ შეკითხვას – რატომ ეყენა მკვლელობის დღეს ორი კამერა ერთი მიმართულებით და მეორე დღეს, რატომ დამონტაჟდა ან ვინ დაამონტაჟა საპირისპირო მიმართულებით.

მისი თქმით, მკვლელობის დღეს ერთი მიმართულებით დამონტაჟებული კამერები მკვლელს ზურვით ასახავს. მოკლულის შვილის თქმით, ეს კამერები მეორე დღეს საპირისპირო მიმართულებით დამონტაჟდა, რაც ასევე საეჭვო გარემოებაა.

რუსუდან შარაძე აცხადებს, რომ სასჯელადსრულების მინისტრმა და მისმა მოადგილემ, განსხვავებით ყოფილი მინისტრის სოზარ სუბარისგან, ნება დართეს შეხვედროდა მსჯავრდებულ გიორგი ბარათელს. თუმცა, რუსუდან შარაძის თქმით, ბარათელი გადინიანებულია ე.წ. შტორის საქმეზე დამატებული ორწლიანი სასჯელის შემდეგ და მასთან შეხვედრა არ ისურვა.

რაც შეეხება გურამ შარაძის მკვლელობის ხელახალ გამოძიებას, რუსუდან შარაძის თქმით, როგორც ქალაქის, ასევე მთავარი პროკურატურა 24 საათიან რეჟიმში მუშაობს, მათ შორის უკვე დაიკითხნენ ის პოლიციელები, რომელთა ჩვენების საფუძველზე გიორგი ბარათელი დააკავეს.

“ერთ-ერთი პოლიციელი ლევან ბოჭორიშვილი მკვლელობიდან 8 წლის შემდეგ, ამბობს, რომ ახლა რაღაცებს ვერ იხსენებს. ეს ის პოლიციელია, რომელმაც მკვლელობის დღეს მიცემული ჩვენება სასამართლოზე ნაწილობრივ შეცვალა. თქვა, რომ ბარათელს ეცვა კუბოკრული პერანგი მკვლელობის დროს. თუმცა მას დაკავების დღეს არ ეცვა ასეთი პერანგი”, – განაცხადა რუსუდან შარაძემ.

მოკლულის შვილი იმედოვნებს, რომ გამოძიება მკვლელის ვინაობას დაადგენს და გიორგი ბარათელს გაათავისუფლებენ.

გაბ. “ილორო”: სულით ეროვნულ და პატრიოტ გურამ შარაძეს სავსებით არაფერი რომ არ გაეკეთებინა საქართველოსთვის, თავის იმით მაინც დაამახსოვრებდა საზოგადოებას, რომ, როცა მანქანა-თებმა კოლხური კოში გადაწვეს, ინტელიგენციის წარმომადგენლებიდან მხოლოდ მან გაბედა იქ მისვლა და კოსტანტინეს და ზვიადის ბეგრი ფასდაუდებელი ნაწარმოები გადაარჩინა.

“მირჩევნია, პრორუსული ვიყო, ვიდრე პროკრილარასტული” – მიშა ბომიაშვილი ქართული ტელევიზიებისა და პროდასავლური პროკაბანდის წინააღმდეგ

“მკვლელობა ჩაიდინეს ორმა სპეცრაზმელმა” – ბურამ შარაძის ქალიშვილი მამის მკვლელობაზე ახალ ინფორმაციას ავრცელებს

იღორი

აპერიკის ელჩის ხუნვიზინები

ევროატლანტიკურ რვაგვხას თავისი საცეცხებით საქართველო ისე მგზავს ჰყავს შებოჭილი და ქართველი ხალხის გადაჯიშების პროგრამას ისეთი ინტენსიურობით ანხორციელებს, რომ ქართული ჯიშისა და ჯილაგის საამაყო ქართველი სანთლით საბებრია, შეიძლება, გახდეს. ჩვენზე უარეს დღეში იყო კუბა, რომელსაც სასტუმროებით, კაზინოებით, საროსკიპოებით, შერტებულ შტატების მდიდარი მოქალაქეებისთვის გასართობი ადგილებით მსოფლიოს ბორდელის რეპუტაცია ჰქონდა. ზეითილია ერთი მუჭა კუბელ მაგნატს კასტა; გაჭირვებაში, გარყვნილებაში, გაუსაძლის უბედურებაში ფართხალებდა ქვეყანა. ვერაინ იფიქრებდა, თუ ეს შებოჭილ-დაბუნებელი ხალხი დამცირებისა და აზუნად აგდების უღელს გადააგდებდა და თავისუფლად ამოსუნთქვას შეძლებდა შერტებული შტატების ცხვირწინ, რომელიც 1961 წლიდან ინტერვენციით, ეკონომიკური ბლოკადით, სანქციებით, დივერსიებით, ტერორისტების მიგზავნით ცდილობდა კუბელი ხალხის დახოჭებას, თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ რომ იქცა ლათინურ ამერიკასა და მსოფლიოში.

ნუთუ შერტებულ შტატებს ნორლანდის მსგავსი ელჩი არ უჯდა კუბაში ან არასამთავრო ორგანიზაციების ხუნვიზინების გამოყენების გამოცდილება ჯერ არ ჰქონდა? – ელჩიც ჰყავდა, აგენტურის მძლავრი ქსელიც და უამრავი მოსყიდული კუბელი კუჭისგლახებიც. ისე იყვნენ თავდაჯერებული და ისეთი ბერკეტები ჰქონდათ კუბის დასაოქებლად, ვერაფრით წარმოადგენდნენ, კუბა თუ დამოუკიდებლად ამოსუნთქვას გაბედავდა, მაგრამ მოხდა სასწაული და კუბელმა ხალხმა თავისუფალი ცხოვრება დაიწყო...

იქნებ ვინმე თავდაჯერებულ ყეყეს ჰკონია, რომ უამრავ მძინვარე დამპყრობელთან ბრძოლაში ნაწრობით ქართველი ერის ახლანდელ თაობას სამშობლოსთვის თავდადების სიხინათელი გენი უცხოეთის ჯადოქართა მაგიით დაუქანდა და ბნელეთის მოციქულთა გაველითა და მდგრად ქართველთა მუხთლობით გადაჯიშდებინა?! ქართველ ერს თავმოყვარეობის, დამოუკიდებლობის, უძველესი კულტურის, ლიტერატურის, ენის, მამულისა და სარწმუნოების, ტრადიციებისა და ერთგულების ცეცხლი რომ არ განელებია, ამას ახლო მომავალი დაგვანახებებს?

ასოცირების ხელშეკრულების მიღებაზე მიწვეული საქართველოს დელეგაციის ქათმებით ქანდარაზე წამოსკუპების, წინარიგში კი, კაცობრიობის წინაშე დამნაშავე, ცრუპენტელა და თაღლითი სააკაშვილის ნებივრობის შემხედვარე ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვილს როგორ შეიძლება, თავმოყვარეობის ნერვი არ შეუტოკდეს?! გამოდის, ევროპის სახალხო პარტიისა წარმომადგენლებისა და მათნარებისთვის საქართველოს პრეზიდენტი ისევე სააკაშვილია.

აქ კი გახარებულები აცხადებენ, ჩვენ წინარების გზას ვადგავართო. საკითხავია, ქართველების წინაპართა რომელი თაობა იყო ევროპასთან წილნაყარი? იქნებ არაბების, მონღოლების, სპარსელების ბატონობისდროინდელი? ან იქნებ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის?! შეიძლება, ევროპელების პერიოდის თვლიან სულსან-საბა ორბელიანის საფრანგეთიდან გამოპანდურებას?! იქნებ ეს ბიზანტიის ბატონობის პერიოდია, როდესაც ჯვაროსნებმა ხუთჯერაინი დროშის ფრიალით დაანგრეს იერუსალიმი, ნაციონალებმა კი ეს დროშა სახელმწიფოს სიმბოლოდ შემოგვასაღეს?! ევროპელებად ვითვლებოდით 1812 წელს რუსეთზე ნაპოლეონის ლაშქრობისას, მთელი ამერიკავაკასია სპარსეთსა და თურქეთს რომ გადაულოცა გაცვეთილი მუნდირიეთი?! იმას კი ვერ იხსენებენ, რომ ქართველები ევროპასთან დაახლოებას რუსეთის გზით ეხიარნენ.

ქართველი ხალხის უპირველესი და სისხლხორცეული ამოცანა საქართველოს გაერთიანება და ერთიან ძმურ ოჯახში ცხოვრებაა. ვის აძლევდა ხელს “დინების საწინააღმდეგო მოცუფავე” საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობა და სამეგრელოს აწიოკება; ვინ დაგვიტოვა აფხაზეთი შეუხორცებელ ღია ჭრილობად და რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებით

დაგვასაჩუქრა?! კიდევ უფრო დიდ უბედურებად შეგვაცოცხა მის მიერ გამოწვეული ხროვა “ნაციონალური მოძრაობის” სახით, რომელმაც თავისი მუხთალი ბრჭყალებით კიდევ უფრო გააფართოვა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ღია ჭრილობები. უცხოეთის მართონეტი ხელისუფლება თავისი ხალხის მტერია! უამრავჯერ დაღვარეს ქართველთა საამაყო ახალგაზრდების სისხლი “ნაციონალმა” უხსენებლებმა და ცხინვალის სამარცხეინო ავანტიურა რუსეთ-საქართველოს ომად უნდათ შემოგვასაღონ თავიანთი ევროატლანტიკური მწვერთნელების მხარდაჭერით.

ოსებისთვის საქართველო დედამამშობლო იყო. ვინ ამოაფრქვია სიძულვილის ისეთი შხამი, რომ აფხაზეთსა და ოსებს ჩვენთან ერთად ყოფნა აღარ სურთ?! ვის შეეძლო, მძინარე ცხინვალისთვის “გრაფებიდან” ჭურვების სეტყვა დაეშინა? მძინარე მოსახლეობას ვინ ესხმის თავს?! – საქართველოს ერთიანობისა და ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში ცხოვრების მტერი. რუსეთმა მაშინვე მოითხოვა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს შეკრება, რომელსაც ევროპელებმა მხარი არ დაუჭირეს. რუსეთის მეორე მოთხოვნის შემდეგ გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, მაგრამ საბჭოს წევრებმა ცეცხლის შეწყვეტას მხარი არ დაუჭირეს. დაიხიციან გაეროს გვიდით სამაჩაბლოში მყოფი რუსი სამხედროები. დღეს კი გამოცანად გეიქციეს, – ვინ დაიწყო ომი. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ “ნაციონალთა” ამ ავანტიურას რუსეთ-საქართველოს ომად ნათლავენ.

ბრძენი და მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს იომებს რუსეთის წინააღმდეგ, რომელთანაც ერთად ზღვა სისხლი აქვს დაღვრილი საქართველოს მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად და კაცობრიობის საზარელი ჭირის – ფაშიზმის გასანადგურებლად!

საქართველოს გამთლიანების ერთადერთი გზა რუსეთზე რომ გადის, არც მოეგონება ეპარება ეჭვი და არც მტერს. სწორედ ამიტომ, რომ საქართველოს გაერთიანების მტრები ასე თავაშეებულად ღანძრავენ რუსეთს, რათა შეუძლებელი გახდეს ქართველი ხალხის ნაწრის ახდენა და რუსეთმა დაეკარგოს საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის ადგენის იმედი.

ყველა თაღლით პოლიტიკოსს სწევია ხალხის სახელით ლაპარაკი, როგორც მქაძეს, პატიოსნებას რომ იბრალდებს თავისი გარყვნილი არსებობის შესანიღბავად. თაღლითმა იცის, ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლა საამაყო რომ არის, მაგრამ ამას მსხვერპლის გადაება სჭირდება, ის კი თავისი კეთილდღეობის მონაა და სხვა ყველაფერს კუჭის კარნახს ანაცელებს.

არც ერთ მძინვარე დამპყრობს ისეთი ზიანი არ მიუყენებია საქართველოსთვის, როგორც მოღალატე “ნაციონალ”-თაღლითებს, რომლებმაც მიიმედ დაარტყეს განათლებას, მეცნიერებას, კულტურას, ჯანდაცვას, ლიტერატურას და ყველაფერს, რაც ქართულთანაა დაკავშირებული. ქართული მიწების სრულად გაყიდვისა და საქართველოს საბოლოოდ დაქუცმაცების საშუალება კი მათ “ქართული ოცნების” გამარჯვებამ აღარ მისცა.

“ნაციონალთა” ძალადობის დამხობის შემდეგ ქართველმა ხალხმა შეგებით ამოიხსნათქა და დიდი იმედი ჰქონდა, დამნაშავეთა დასჯით სამართლიანობა აღდგებოდა, მაგრამ ამას ენერგიულად უშლიან ხელს “ნაციონალთა” უცხოელი მფარველები და ქართველი ხალხის მიმართ მიმედ დანაშაულების ჩამდენთა დასჯის მცდელობას პოლიტიკურ დევნად ასაღებენ. ისინი საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ყველა ბერკეტს იყენებენ. ამას ჩვენ, უბრალო ადამიანებიც, ვხვდებით.

ქართველი ხალხი ისე იყო “ნაციონალთა” ღალატით, მტრობითა და თავხედობით აღშურებული, რომ მის წინააღმდეგ მებრძოდ რეალურ ძალას – “ქართულ ოცნებას” უყოყმანოდ დაუჭირა მხარი. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ კოალიციას ისეთმა პარტიებმაც შეაფარეს თავი, “ნაციონალებთან” რომ თანამშრომლობდნენ. დროთა განმავლობაში კი ეს თანამშრომლობა და კავშირები კოაბიტაციამ ისე გაანებივრა, რომ ვირთხის სოროში შესაძრომად გამზადებული “ნაცები” და

მათი მეგობრები ახლა პატიოსნებადაბრალებული მეძავის ენერგიით საქართველოს განვითარებას ებრძვიან შინ და გარეთ. “ქართულ ოცნებას” კი აშკარად გაუძნელდა სამართლიანობის ადღგენის ბასრი მახვილის გამოყენება.

“ნაციონალთა” ტრიბუნა-ტელევიზიებიდან განაწვევებული თავისუფალი დემოკრატების რეპლიკები “ქართული ოცნების” მიმართ ასე შეიძლება შეფასდეს: მგელს დაუშობილდები, მგლად იქცევი; მგლის მეგობარი ძაღლი კი მგელზე უარესია.

ტელევიზიები კიდევ უხერხულ მდგომარეობაში აგდებენ პარტიების, მთავრობისა თუ პარლამენტის წარმომადგენლებს და მიწა იძრა თუ ციკანმა დაიკიკინა, ყველაფერზე ინტერვიუს სთხოვენ. ისინი კი თავიანთი ტვინის ჭკულების პროდუქტით გვაოცებენ. შერიგების მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა თავისი გამჭრიახობით გაგვაკვირვა: “როგორც ჩანს, პუტინი რუსეთის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს”-ო. წარმოგადგენიათ, ამას ამოცნობა არ უნდაო?! ხომ შეიძლება, პუტინი სვახილენდის ან შრი-ლანკის ინტერესების დამცველი გვეკონებოდა?!

“თუკი ევროპა და ამერიკა დაარწმუნებენ რუსეთს, რომ ომისთვის მზად არიან, რუსეთი შეშინდება”, – გაგვანათლა ქალბატონმა ხიდაშელმა. მაგრამ როგორ უნდა დაარწმუნონ რუსეთს ევროპამ და ამერიკამ, ამ საიდუმლოს ქალბატონი არ ხსნის. როგორც ფილმ “არაჩვეულებრივ გამოფენაშია”, – უკბინონ ან დედა დაიფიცონ? უფრო ვფიქრობიან იქნება, კარლოს XII-ს, ნაპოლეონს ან პიტეღერს ჰკითხონ, როგორ შეაშინეს რუსეთი.

საგარეო საქმეთა მინისტრმაც დახვეწილად გაგვაცნო თავისი სამსახურებრივი ფაფხურის შესახებ: “ჩემი ამოცანა იქნება, მეტი ევროპა საქართველოში, მეტი საქართველო ევროპაში; მეტი ნატო საქართველოში”, ანუ ერთი ევროპა აღარ გვაქმარა, თანაც სხვისკენ არ უნდა გაიხედო, მეტიდან რომელიმე ევროპა რომ არ დაგეკარგოს.

ხალხი საშინელ გაჭირვებაშია და გამოხვალს მთავრობისგან ელოდება, რომელსაც მკებნარივით დასველი ვერანტისა და უცხოეთის შექების უამრავი მაძიებელი, მდგომარეობას კი ფხიზლად აკონტროლებს ამერიკის ელჩი – ნორლანდი, ვინმეს მიერ ქვეყნის სასიკეთოდ გაფანჯნება რომ არ გამოეპაროს; მას ურნთა მოსაშობლად აარებელი ფარული საცეცხები აქვს – ღია საყუფად და საყყყანოდ ჰყავს “ნაციონალები”, მათი ბიძაშვილ-მამიდაშვილი პარტიებითა და ხუნვებინებლად მიმრავლებული, პირზე რძემეუშრობი არასამთავრობო გოგობიჭები.

სამაჩაბლოში საზღვრის გადმოწევა და მავთულხლართების გაველების საკითხზე ოსებსა და რუსებს კი არ ხვდებიან, ევროპაში გარბიან საჩიფულად, ისინიც აწრიალდებიან, – ეს რა ჩაუდენიათო და ამით სრულდება ყველაფერი. არავითარი ურთიერთობა რუსეთთან საქართველოს ერთიანობის აღსადგენად. მხოლოდ ფუქსავატთა დავლავი რეალური ნაბიჯების გარეშე, რადგან კარგად იციან, რომ ერთიანი საქართველო მათ დამამცირებელ პრეტენზიებზე მორჩილად აღარ წაიგრებლებს კისერს უღლის დასადგმელად; ვერც ასე ენერგიულად ვერ გაუწევს სამსახურს რუსეთის ღანძრვა-გინებაში. არც ის ენაღვლებათ, თუ რუსეთი საქართველოს ტყავს შემოაფხრეწს ისე, როგორც “ნაციონალთა” ცხინვალის ავანტიურისას მოხდა. რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის ადღგენის პირობებში კი დღეს საქართველო გაერთიანებული იქნებოდა.

ეურნალისტის კითხვაზე პუტინის პასუხი, რომ ის შეხვდება საქართველოს ხელმძღვანელებს მოსკოვში, სადად მოაზროვნე პოლიტიკოსის პასუხი იყო. ტელევიზიებმა კი დროულად ააყიყინეს ჭიანჭამი პოლიტიკოსები: თურმე რუსეთის ხელისუფლებას გაუჭირდა და ახლა იხვეწება, საქართველოს ხელმძღვანელებთან შემახვედრეთო, ჩვენები კი არ უნდა შეხვდნენ, ვიდრე რუსეთი ტერიტორიებს არ დააბრუნებს. აბა, როგორ – მათ ყიყინს სადღაც ხომ ისმენენ?! რაც უფრო ენერგიულად დაამუხრუჭებენ საქართველოს გაერთიანებას, მით უფრო საიმედოდ ჩაითვლებიან ევროატლანტიკური დამფი-

ნანსებლების თვალში. რა ქნან, როცა კუჭის კარნახითა და უცხოელთა სურვილის მიხედვით აწარმოებენ თავიანთ პოლიტიკას?! წვიმის შემდეგ აღმოცენებული სოკოებით მომრავლებული პარტიების უმრავლესობა ერთმანეთს ბრდენიან, ვინ უფრო უკეთესად გამოხატავს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ვი მას, ვინც რუსეთთან ურთიერთობის ნორმალისაცი-აზე დაილაპარაკებს – მოღალატის იარაღი მზად აქვს...

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ნათელი აზრის, შემოქმედებითი, მეცნიერული მოღვაწეობისთვის კოცონზე არავინ დაუწვია; იგი გმობს ყოველგვარ სქესობრივ გაუკუღმართებას, რაც ერის დაკნინება-გადაგვარების საწინდარია. კათოლიკური ეკლესია კი ერთსქესიანთა ქორწინებას ღვთისგან მინიჭებულ მადლად თვლის. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ევროპელებით ინდულგენციებით არ უთაღლითია. იმხანად ასე უსაშველოდ რომ გექნოდა შეყრილი ბეჭერი ევროპისა და ბეჭერი ნატოს ვირუსი, ერის ბრძენი მამულიშვილების ინკვიზიციის კოცონზე დაწვას არ დაგვაძალდებდნენ და დღეს ხომ მოგვევიდა სირცხვილის ოვლს წინაპართა უღრისი საქციელი?! რა გარანტიაა, რომ მომავალი თაობა სირცხვილის შავ დაფაზე არ გააკრავს მათ სახელებს, ვინც ქართველ ხალხს ელ-გე-ბე-ტე საზოგადოების კანონი მოახვია თავს და ევროპას წვევლა-კრულვით არ აიკლებს?!

ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებისას ევროპარლამენტში სააკაშვილის მიწვევა ქართველი ხალხის აზუნად აგდება და ევროპული მისწრაფებების გამარჯვება იყო. მაგრამ რა შეიძლება ეწოდოს უსუფაშვილის მიერ სააკაშვილისათვის ახალი წლის მილოცვას? ამ კითხვის პასუხი სააკაშვილის მიერ დარბეულმა, ნაწამებმა, სისხლდადენილმა და სამშობლოაზრებულმა ქართველმა ხალხმა იცის.

ევროპელმა ჯვაროსნებმა სისასტიკით, ორსული ქალების, ბავშვების, მოხუცების ქლექტით, ადამიანების ქვამში მოხარშვით, საზარელი საღიზიით გააოცეს რაინდულად მებრძოლი ალაღინი და შედეგად მიიღეს უარესი საღიზიოთა და კაცთმოძულეობით ქრისტიანების ქლექტა.

შეთითხნილი ბრალდებებით ამერიკა-ნატოს შეჭრა ერაყში, დღეს მსოფლიოს მწარე დიმილს ჰგვრის. ამოწვეიტეს სადამ ჰუსეინი ოჯახით; სიკვდილი და უბედურება დაეპატრონა ამ ქვეყანას; განადგურდა ცივილიზაციის სათავის უნიკალური ექსპონატები... ჯორჯ ბუში განსასჯელის სამზე უნდა იჯდეს, ის კი უდარდელად ცხოვრობს, რადგან ამერიკის პრეზიდენტი იყო. ან ვისი დამსახურებაა ერაყში “ისლამური სახელმწიფო” წარმოშობა და მისი სისასტიკე?!

რომელ ქვეყანაში დადგა ამერიკა-ნატომ ფეხი და მის სისხლიან ნაკვალევს სად მოჰყვა მშვიდობა და ბედნიერება?!

ახლა უკრაინას გაეჩივრა ყელში ევროატლანტიკური ორცხობილა და ხუთი მილიარდი დოლარის მიდნური “განცხრომა”. უკრაინელ ხალხს ეს ჯოჯოხეთი, ალბათ, ევროამერიკელ კეთილისმსურველებს უნდობლად გააცნობს და ისინიც საჩუქრად გაწამებული ხალხის რისხვას მიიღებენ.

საქართველოში კი “ნაციონალთა”, მათი მონათესავე პარტიებისა და არასამთავრობო ხუნვებინების ნებივრობით აღშურებული ხალხის მოთმინების ნერვი უკიდურესად დაიჭიმა და, ამ უცხოეთის ლაქიებს რაც დაეპართებათ, გადახვეწილ ტაკიმასხარა სააკაშვილს მოახსენონ.

იური ვაზაგაშვილის საზარელმა მკვლევლობამ შვილის საფლავზე ქართველი ხალხი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ უხსენებელი უბეში უზის, რომელიც, ხელისუფლების უმოქმედობით გამობარი და დაუსჯელობით გათამამებული, ქართველი ხალხის დასაგულად აგროვებს შხამს...

ბივი სომხიშვილი, მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემია “აიას” ნამდვილი წევრი

სორბატიაში სასაქონლო არ მივლივართ! – ექსკლუზიური ინტერვიუ ილორ კოკოშკოვთან



სექტემბერში საქართველოს ნაკრებს მესამე ევრობასკეტი ელის. გულშემატკივარიც ელის – თამაშებსაც და მოგებებსაც. ექსკლუზიური ინტერვიუდან ოთხი ნაკრები მერვედღიანად გადის, რაც ჩვენი გუნდის მანსებს კიდევ უფრო ზრდის. პლეი ოფი, მერვედღიანიდან ფინალამდე საფრანგეთის ქალაქ ლილში გაიმართება.

შეიხვეწისთვის საინტერესო უნდა იყოს, მთავარი მწვრთნელი, ილორ კოკოშკოვი თუ ხედავს საქართველოს ნაკრებს საფრანგეთში.

სერბ სპეციალისტს სწორედ ეს შეკითხვა დაეუსვით. ამომწურავადაც გვიპასუხა, თუმცა არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ევროპის ჩემპიონატის მერვედღიანადმდე ჯგუფური ეტაპია (რომელიც ხორვატიაში ჩატარდება), მანამდე - მოსამზადებელი ციკლი, რომლის დაწყებამდე ნაკრების კალათბურთელებს კლუბებში აქვთ სეზონი წარმატებით ჩასამთავრებული.

ილორ კოკოშკოვი კონტრაქტით “კლიფენდ კავალიერსთანაა” დაკავშირებული, თუმცა მთავარ მწვრთნელად დევიდ ბლატის მისვლის შემდეგ გუნდში ბევრი ცვლილება განხორციელდა და კოკოშკოვიც ბლატის შტაბის წევრი აღარ არის. როგორც თავად ვითხრა, გარკვეული პერიოდული სხვადასხვა კლუბებთან მუშაობს. ბოლოს დალოსში ვიყავი, შემდეგ კი ფენიქსში დაბრუნდი, აღნიშნა ნაკრების თავადაცმა.

რადგან NBA-ს კლუბებზე ვსაუბრობთ, ინტერვიუც ამავე ლიგის ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდით დავიწყოთ.

(ინტერვიუ ილორ კოკოშკოვის თბილისში ჩამოსვლამდე ჩაწერილი)

– “მილუოკი ბაქსი” აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი გუნდია. მასში კარგადაა შერეული ახალგაზრდული ემოცია და გამოცდილება. “მილუოკიში” ბევრი მეგობარი მყავს და მისარია, რომ წარმატებულ სეზონს ატარებს. “ბაქსი” იმ გუნდების კატეგორიდანაა, რომლის დამარცხებაც ძალიან ძნელია.

– ზაზა ფაჩულიას წვლილზე რისი თქმა შეგიძლიათ?

– როცა ფაჩულია მოედანზეა, გუნდი უფრო თავდაჯერებული თამაშობს. ზაზა მრავალმხრივი კალათბურთელია და თანაგუნდელებს სათანადოდ ეხმარება ყველა კომპონენტში. რაც მთავარია, გუნდის სტაბილურობის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის ზაზას დასახელებაც შეიძლება. იგი ძალიან სტაბილურია.

– ფაჩულია ახლახან იყო ევროპაში, “მილუოკისთან” ერთად ლონდონში ითამაშა, თქვენ როდის აპირებთ ჩამოსვლას?

– თებერვლის დასაწყისში თბილისში ვიქნები. დავესწრები საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს, უშუალოდ თამაშში ვნახავ ნაკრების კანდიდატებს. შეხვედრები კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, ერთად დავსახავთ საზაფხულო მზადების გეგმას, რომლის დიდი ნაწილიც მზადაა.

– თქვენი დასწრება დამატებითი სტიმული იქნება საქართველოს ჩემპიონატის მოთამაშებისთვის.

– მეც ამის იმედი მაქვს. ვეცდები, რითაც შემიძლება დავეხმარო.

– საზაფხულო გეგმებში ბევრ ძლიერ გუნდთან შეხვედრაა ჩანსული, იტალიასთან, ლატვიასთან, საფრანგეთთან... როგორ ფიქრობთ, ასეთი დაგეგმარებით ევრობასკეტის ოპტიმალურ ფორმაში შეხვედრებით?

– სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ევროპის ჩემპიონატზე მესამედ ვითამაშებთ და საკმარისი გამოცდილება

დაგვიგროვდა საიმისოდ, რომ მოსამზადებელ ეტაპზე ყოველგვარი ლაფსუსი თავიდან ავიცილოთ. თუმცა მთავარი მაინც კალათბურთელია ჯანმრთელობა.

ნაკრების წევრები ამჟამად კლუბებში თამაშობენ და მინდა თითოეულ მათგანს წარმატებულ სეზონი ეუსურვო. მათთან კონტაქტი ახლაც მაქვს და თამაშებსაც თვალს ვადევნებ. იმედი მაქვს, საკლუბო სეზონის შემდეგ ყველა ჯანმრთელად იქნება. შარშან სამი წამყვანი კალათბურთელი გვაკლდა, რთულ სიტუაციაში ვიყავით, თუმცა მყამყება, რომ გადაწყობა მოვახერხებ და ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავებ.

– შარშან ტრავმირებულია შორის იყო ამერიკელი რიკი ჰიქმანი, რომელიც ამჟამად “ფენერბაჩში” ასპარეზობს. მასთან თუ გაქვთ კავშირი და აპირებთ თუ არა წლებულს ჩვენს დახმარებას?

– როგორც უკვე ვთქვი, ევროპაში გამოსამზადებლად ვმზადდები. სტამბოლშიც გაგზავნა, სადაც ჩემს მეგობარ ელიმირ ობრადოვიჩს შეხვდები. სწორედ ის წერთის “ფენერბაჩს”. ცხადია, რიკი ჰიქმანსაც დაველაპარაკებ და ვიმელოვნებ, ამ ზაფხულს არ შეექმნება პრობლემები.

– აქვე ისიც მინდა აღვნიშნო: გასულ სეზონში მხოლოდ ქართველებით ვითამაშეთ. წარმატებითაც. ჰიქმანის არყოფნაში ძალიან კარგად გაისარჯა ახალგაზრდა დუდა სანაძე. გვყავს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებიც ნელ-ნელა ეწერებიან ნაკრებში.

– რიკი ჰიქმანის დახმარება საჭიროა, თუმცა ჩემთვის პირობითი რამეა მისი დახმარება. ქართველებს წინ წამოწევა.

– ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ მეტოქეების შესახებ მოკლედ რისი თქმა შეგიძლიათ?

– პირველ რიგში ვიტყვი: ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების შედეგები არა მეტოქეებზე, არამედ ჩვენს თამაშზეა დამოკიდებული. თუ ყველაფერი ისე გამოვა, როგორც ვგეგმავთ, ყველასთან ვაჭაქს შანსი.

– ჯგუფის ფავორიტად ვის მიიხსნებთ? – საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი

ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებაზე მუშაობს. თუ ასე მოხდა, ბერძნებს საუკეთესო გუნდი ეყოლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათთან მოგება არ შეიძლება, ან აუტსაიდერად მიხსნულ ჰოლანდიას იოლად ვაჯობებთ.

ნიდერლანდელებმა დიდი ხნის შესვენების შემდეგ მოიპოვეს ევრობასკეტის საგზური და თავისი გათვლები ექნებათ. მათთან შეხვედრასაც ისევე უნდა მივუდგეთ, როგორც საბერძნეთთან დაპირისპირებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯგუფურ ეტაპზე 6 დღეში 5 შეხვედრის ჩატარება გეიწევს. ასეთი რთული გრაფიკის პირობებში ბევრს გადაწყვეტს სწორი გათვლები, გრძელი სათადარიგოთა სკამი.

– ხორვატიისა და სლოვენის ნაკრებებიც ჯგუფის ფავორიტთა შორის უნდა მივთვალოთ.

– ჩვენი ჯგუფის მატჩები ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში იმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ბალკანური ქვეყანა მასპინძელი იქნება. სლოვენიელები და მაკედონიელები დარბაზს პირამდე გაავსებენ, ხორვატებზე აღარაფერს ვამბობ. ასეთ პირობებში კი ძნელია სტუმრად თამაში.

– ხორვატიის ნაკრები არა მხოლოდ ჯგუფში, ევროპაშიც ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი, პროგრესირებადი კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული. მასში ხომ დარბაზს სარბინი, ბოიან ბოგდანოვიჩი, ანტე ტომიჩი თამაშობენ...

– საქართველოს ნაკრების ადგილს თუ ხედავთ საფრანგეთში, ლილში?

– როგორც აქამდე, საქართველოს ნაკრებმა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა იაროს, თამაშიდან თამაშამდე გაუმჯობესდეს. აქედან გამომდინარე ყოველ კონკრეტულ დღეს უახლოეს მატჩზე უნდა ვიფიქროთ.

ერთი ვიცი, რომ მეტად დატვირთული დღეები გველის. რაც შეეხება საფრანგეთში, მერვედღიანად უნდა ვხედავთ თუ არა საქართველოს ნაკრებს, მოკლედ გვიპასუხებთ: ხორვატიაში სასაქონლოდ არ მივდივართ.

გამოვიდა სერბი კრემლიოვის ნიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერბი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რუსულ-საქართველო მენეჯერი) (რუსულ-საქართველო მენეჯერი). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსეთის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრადის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიკოს წიგნი “კამპანია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრადის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სვანი ამბობს, მკავე კიტრი მიყვარს მაგრამ ვერ ვჭამო.

– რატომ? – ეკითხება მოსაუბრე.

– რა ვიცი, ბანკაში თავი არ მეტყვა.

გაქურდულ ბინაში ჩატარებული გამოკვლევების დროს აღმოჩენილი ხელის ანაბეჭდების მიხედვით კრიმინალისტებმა დაადგინეს, რომ ქურდი იცხოვრებს დიდხანს და ბედნიერად, და უახლოეს 2 წელიწადში მას ეწვევა ნამდვილი სიყვარული.

უცხო პლანეტაზე უცხოპლანეტელები დღემდე არ არიან ჩამოვარდნილ ხომალდს ათვალისწინებენ. შვილი-უცხოპლანეტელი მამა-უცხოპლანეტელს საკვების რეგულირების ნაკვეთის აწვებებს:

– ეს რა არის?

– აქ იქაური ერთუჯრედიანი ორგანიზმები განავლისაგან საკვებს ამზადებდნენ.

– ესა? – ეკითხება საცხოვრებელ ნაკვეთურზე.

– აქ მრავალუჯრედიანი ორგანიზმები საკვებისაგან განავალს ამზადებდნენ.

– და რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს?

– რაღი შვილო, რას გაიგებ!..

სახალხო მოძრაობა **მოუპოო ილი ჯარ**
კიდეა მკლავი ნაყოფიერი
ფარმაცოლოგიის, რომელიც მის
დაძირვის სფეროშია და კვლავ ჩაღვა
სალის ჯანმრთელობის სახალხო

ლომენტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფლობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხისილს, ნერვის ანთებას, ნეფროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეუნავს გაფანტული სკლეოზის და შიდსს, შეუღობი ცერებრალური დამბლას, ყურებიდან ჩირქიანს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიაში, ცეპტატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მეურნალის კოორდინატები: თბილისი, სოფელი შალაში, ბაზნიძე ბიჭიკო (ლომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმნელები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან